ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

# ახალგაზრდა ივერიელი

შაბათი,
21 აპრილი,
1990 წ.
№ 44 (11530)

ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКАЯ МОЛОДЕЖНАЯ ГАЗЕТА «АХАЛГАЗРДА ИВЕРИЕЛИ»

ფასი 3 კაპ.

## ქრონიკა, ინფორმაცია

**19 აპრილს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვაჟა ლორთქიფანიძემ მიიღო ატლანტის საქალაქო საბჭოს წევრი რობერტ პიტსი. იგი ჩამოვიდა რესპუბლიკაში იმ 300 ამერიკელის შემადგენლობაში, რომლებიც თითქმის ორ კვირას იცხოვრებენ თბილისელთა ოჯახებში.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე ყურადღების ცენტრში იყო მიწის, მისი წიაღისა და ბუნებრივი სიმდიდრეებისადმი მიძღვნილი საკითხები. განხილვაში ფართო მონაწილეობა მიიღეს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების წარმომადგენლებმა.

**თავისუფალი საქართველოს ახალი ეკონომიკური სისტემა — ასეთი იყო თემა, კონფერენციისა, რომელიც მოაწყო საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიულმა პარტიამ.**

ამას წინათ სოფელ გონიოში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელზეც ბოლოს და ბოლოს ითქვა, რომ აქ არსებული სამხედრო სასროლეთი უნდა გაუქმდეს, რადგან: სისტემატური სავარჯიშო სროლების შედეგად ირღვევა გონიოსა და სხვა სოფლების ნორმალური ცხოვრების პირობები, გამუდმებული გრუხუნი უაღრესად უარყოფითად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობაზე, საზოგადოებრივი მეურნეობის ტერიტორიაზე დაცემული ჭურვები საფრთხეს უქმნის მოსახლეობას და გონიოს ციხე-ქალაქს.

**როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან (და „ყოვლისმცოდნე“ საკავშირო გაზეთები და ტელევიზია კი დუმან), მოსკოვმა დაიწყო პატარა ლიტვის ეკონომიკური „დახრჩობა“, მაგრამ, ისიც ცნობილი გახდა, რომ ლიტველი ერი და მისი ლიდერი ვიტაუტას ლანდსბერგისი შიშისაგან ამის გამო მაინც და მაინც გულგახეთქილები არ არიან.**

საქველმოქმედო საზოგადოება „თბილისელი“ 22 აპრილს, კვირას, 12 საათზე ვაკის პარკში ატარებს თბილისში, ერთაშორის ძმობისა და ჭეშმარიტი მეგობრობისადმი მიძღვნილ მიტინგს. ის, ამასთან, იქნება ე. წ. „ინტერფრონტის“ მოსურნეთა საწინააღმდეგო აქცია.

**1990 წლის 25 აპრილს საღამოს 5 საათზე საქართველოს მონარქისტული პარტია მთავრობის სახლთან აწყობს საპროტესტო თავყრილობას იმაზედ, რომ 1802 წლის 12 აპრილს (ახალი სტილით 25 აპრილს) სიონის ტაძარში ქართველები ხიშტის ქვეშ დააფიცეს რუსეთის იმპერატორის ტახტის ერთგულებაზე.**

27 აპრილს თბილისის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩატარდება ერთდროული სტუდენტური აქცია, რათა მოწვეულ იქნას საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია. სხვა არაერთ საკითხთან ერთად, სტუდენტთა ძირითადი მოთხოვნაა — სესიაზე საქართველოს განესაზღვროს ოკუპირებული ტერიტორიისა და ანექსირებული ქვეყნის სტატუსი.

აქცია დასრულდება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ერთობლივი მიტინგით, რომლის დაწყება 12 საათისთვისაა ნავარაუდევი.



### იაკობ გოგებაშვილი—150

## სამშობლოში

საქართველოს საზოგადოებრიობა ემზადება ფართოდ აღნიშნოს გამოჩენილი პედაგოგის, ქართული პედაგოგიური აზრის ფუძემდებლის, პუბლიცისტისა და მწერლის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 150 წლისთავი.

იუბილის წინ მიმდინარეობს მწერლის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქციის ინტენსიური სამუშაოები გორის რაიონში, მის მშობლიურ სოფელ ვარიანში. აქვე აღადგენენ სოფლის ეკლესიასა და იაკობის წყაროს.

გამოყოფილია დამატებითი სახსრები მეცნიერის სამშობლოში ორიგინალური პროექტის მიხედვით სოფლის სკოლის ასაშენებლად.

**სურათებზე:** იაკობ გოგებაშვილი, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი სოფელ ვარიანში.

საქინფორმის ფოტოქრონიკა



## ხვალ დედამიწის დღეა

ხვალ, 22 აპრილს მთელი მსოფლიო აღნიშნავს დედამიწის დღეს. მილიონობით ადამიანი ხედავს, რომ ჩვენი პლანეტა — დედამიწა განსაცდელშია, რომ უკვე აღმოვჩნდით იმგვარი შემზარავი პრობლემების წინაშე, როგორიცაა კლიმატის გლობალური დათბობა, „ოზონის ხვრელები“, ტყეების განადგურება, საარსებო გარემოს გაბინძურება, რესურსების გამოლევა და სხვა. ამგვარ ვითარებაში უმეტესობას სრული უძლურების გრძნობა ეუფლება.

დედამიწის დღე — გაიმართება იმისათვის, რათა დავძლიოთ ეს სასოწარკვეთა. ის ეფუძნება რწმენას, რომ ადამიანებს, ცალ-ცალკე თუ ერთად, ბევრი რამ შეუძლიათ. შეუძლიათ, თუ კი შეძლებენ ძალთა გაერთიანებას, რომ არ დაუშვან კატასტროფა.

ხვალ, 22 აპრილს მსოფლიოში დაიწყება გრძელვადიანი კამპანია, რომლის მიზანი იქნება ჩვენი პლანეტის გადარჩენა. მას ექნება საგანმანათლებლო, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მიზნები.

— ამ დღეს, — ამბობს საქართველოს მწვანეთა მოძრაობის აღმასრულებელი მდივანი, საქართველოს მწვანეთა პარტიის სპიკერი ზურაბ ჟვანია, — დაიწყება საარსებო გარემოს ათწლეული. ამ დღეს მთელს დედამიწაზე დაირგვება ერთი მილიარდი ხე, ერთი დღით შეწყვეტენ მუშაობას ეროვნული, სახელმწიფო თუ ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოები, რათა თითოეულმა მათმა წევრმა შეძლოს მაქსიმალური მონაწილეობა მიიღოს საგანგებო ღონისძიებებში.

ამ დღეს ხალხის წინაშე გამოვლენ მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკოსები, მეცნიერები, მსახიობები. ყველა აღმსარებლობის რელიგიური ლიდერები, ხოლო მღვდელმთავრები მოაწყობენ საგანგებო წირვას, რომელიც მიეძღვნება პლანეტის განწმენდას, ზნეობრივი იმპერატივის აღდგენას ჩვენს ცხოვრებაში.

**დედამიწის დღე** იქნება მკაფიო გამოხატულება მწვანეთა პრინციპისა — **ვიფიქროთ გლობალურად, ვიმოქმედოთ ლოკალურად.**

თითოეულ ქვეყანას, ქალაქს, დაბას ეყოლება თავისი ორგანიზატორი. საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ხვალ გაიმართება სხვადასხვა ღონისძიებანი. თითოეულ მათგანს, ორგანიზაციას გაუწევენ საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ადგილობრივი ჯგუფები.

დაბოლოს, თბილისში, კინოს სახლთან, ხვალ, 22 აპრილს, 16 საათზე გაიმართება დიდი მიტინგი და მანიფესტაცია, სადაც განიხილება საქართველოს უმწვავესი ეკოლოგიური პრობლემები.

ახლა ჩვენს აქტიურობაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად წარმატებით ჩაივლის ეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიება საქართველოში, რამდენად გაიცნობიერებს თითოეული ადამიანი ეკოლოგიურ პრობლემათა მნიშვნელობას და რამდენად შევძლებთ შევუნარჩუნოთ საარსებო გარემო ახლანდელ და მომავალ თაობებს.

საქინფორმი



**დედამიწის გენერალური დასუფთავება**

ნახატი ამოღებულია იუნეპის — გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის ილუსტრირებული კრებულიდან.

# თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომისა და პროფესორ-მასწავლებელთა კრების მრთოგლივი დადგენილება

შედეგებს, რომლებიც გასული წლის მისაღებ გამოცდებს მოჰყვა და მოსამზადებელი განყოფილების მსმენელებით დაკომპლექტებისას სრულ აბსურდულობას მიაღწია, არავითარი საერთო არა აქვთ ერის ინტერესებთან და საზოგადოებაში მიმდინარე გართულებული პოლიტიკური ვითარების დაცხრომასთან; პირიქით, საზოგადოება სამართლიანად კიცხავს ამ მოვლენებს და თვლის მათ ყოვლად გაუმართლებლად და გაუაზრებლად, რაც კი არ აკავშირებს, არამედ ერთმანეთისაგან უფრო თიშავს და აპირისპირებს ჩვენი ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილს. თუ სამედიცინო ინსტიტუტში გაგრძელდება ის ინერცია, რომელმაც დასაბამი აიღო გასული წლის აბიტურიენტთა და მსმენელთა ყოვლად გაუმართლებელი დაკომპლექტებისას, მაშინ რეალურად გვესახება, რომ ინსტიტუტი შეწყვეტს ფუნქციონირებას, როგორც სასწავლო დაწესებულება, ამასთან დაკავშირებით ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო კატეგორიულად მოითხოვს, რომ:

1. 1990 წლის 20 აპრილს რექტორატის რიგგარეშე გაფართოებულ სხდომაზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების პასუხისმგებელი მუშაკები, შეჯამდეს მოსამზადებელი განყოფილების მსმენელთა პირველი სემესტრის მეცადინეობებზე დასწრების და აკადემიური მოსწრების შედეგები.

გატარებული იქნეს დებულებით გათვალისწინებული ზომები თვით გარიცხვამდეც კი, იმ გადაწყვეტილების (№ 2/ო) სრული დაცვით, რომელიც მიღებულია 1990 წლის 12 იანვარს.

2. მოსამზადებელი განყოფილების ყველა მსმენელს II სემესტრის დამთავრების შემდეგ აუცილებლად ჩაუტარდეს დებულებით გათვალისწინებული წერითი ჩათვლა და ოთხივე საგანში დაშიფრულ ნაშრომში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში ჩარიცხულ იქნან I კურსზე.

3. აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან თუ მოსამზადებელი განყოფილების მსმენელები დაიწყებენ საპროტესტო აქციას, სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლთა კოლექტივი დაუყოვნებლივ მიმართავს საპასუხო საპროტესტო რადიკალურ აქციებს.

4. აღნიშნული დადგენილების შესახებ ეცნობოს საზოგადოებას პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით.

# ახალგაზრდა მედიკოსთა კავშირის განცხადება

**ვინაიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საზოგადოებამ და პროფესორ-მასწავლებელთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება და მას მხარი დაუჭირეს იქ დამსწრე ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმა და განათლების მინისტრმა ბატონმა გურამ ენუქიძემ, ახალგაზრდა მედიკოსთა კავშირის მიმართვის შესაბამისად 23 აპრილისათვის დაგეგმილი კრება აღარ შედგება.**

**ახალგაზრდა მედიკოსთა კავშირი**
**19 აპრილი, 1990 წელი**

## წერილი რედაქციას

# აღდგენას მოვითხოვთ!

**ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლის ქართველი მოსახლეობა (247 კომლი) თავს თვლის საქართველოს განუყოფელ ნაწილად, სურს და ცდილობს იცხოვროს ისე, როგორც ყველა ქართველი ცხოვრობს, ხოლო ასეთი ცხოვრების პირობები სოფელს არა აქვს. ამიტომ დაიწერა ეს წერილი.**

რა მოხდა?

1950 წელს ამ სოფლის ეგრეთწოდებული ქერექენის ზონაში გეგმიური წესით ჩამოგვასახლეს 200 კომლი; აქედან 150 წალენჯიხის რაიონის სოფელ ქალალის და 50 ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფოჩხოვის მკვიდრი.

ხელცარიელი არ მოვსულვართ: 3 ათას სულზე მეტი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი თუ მუშა-ცხენები ჩამოვიყვანეთ, ურმები და სხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარ-მოწყობილობა ჩამოვიტანეთ.

დიდი ჯაფა გადავიტანეთ ჩამოსახლებულებმა, დავტოვეთ იქ მშობლიური ადგილები, დაგვხვდა აქ ეწერი, მართალია სამოთახიანი სახლები, მაგრამ ეკალბარდიანი ეზო-კარი, გარემო. ზოგს არ უნდოდა აქ გაჩერება, მაგრამ დრომ, შრომამ განწყობილება შეცვალა. შევქმენით ახალი კოლმეურნეობა, გავაშენეთ ჩაის პლანტაციები, გავწმინდეთ ძველი, ტყედ ქცეული ნარგავები.

სოფელმა უმოკლეს დროში ააშენა სასოფლო კლუბი, საკოლმეურნეო კანტორა, სკოლა, ბიბლიოთეკა, საფერშლო პუნქტი, სასადილო, მაღაზია, რადიოკვანძი; ჩამოყალიბდა თვითმოქმედი გუნდი, დაიწყო წყალსადენის მშენებლობა...

სამწუხაროდ, ჩვენმა კოლმეურნეობამ მხოლოდ 12 წელს იარსება — 1961 წელს კოლმეურნეობის გამსხვილებისაკენ მიმართულ საკავშირო პოლიტიკას შეეწირა: კოლმეურნეობის წევრთა ნება-სურვილის გარეშე გააერთიანეს თომუშის, ქერექენის და ჩარქეთის სამი კოლმეურნეობა და შექმნეს ერთი კუტოლის კოლმეურნეობა. ახლა გაირკვა, რომ არქივში ამ გაერთიანების დამადასტურებელი არავითარი საბუთი არ არსებობს. ჩანს, შეერთება ზეპირად მომხდარა, ვიღაცას უთქვამს, მორჩა და გათავდა...

(დასასრული მე-6 გვ.).

**გასწორება**

18 აპრილის „კომუნისტში" გამოქვეყნებული საქინფორმის ინფორმაცია — „ვიზიტად აფხაზეთში" არსებული პოლიტიკური შეცდომებით, გაუსწორებლად, ჩვენი გაზეთის 19 აპრილის ნომერში გადმოვბეჭდეთ. ეს პუბლიკაციის მექანიკურად გადმოტანამ გამოიწვია. მკითხველს ბოდიშს ვუხდით შეცდომისათვის.

**„ახალგაზრდა ივერიელის" რედაქცია.**

# დრო არ ითმენს!

## საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის პოზიცია საქართველოში ეკონომიკური სწავლების რეორგანიზაციის შესახებ

**რამდენადაც** ჩვენი სამშობლოს მომავალი ბევრადაა დამოკიდებული ეკონომიკურ პოტენციალზე, დღის წესრიგში დგება გადაუდებელი პრობლემა: უმაღლესმა სასწავლებლებმა მოამზადონ ღირსეული სპეციალისტები, ისინი ვინც იტვირთავენ საქართველოს ეკონომიკის გამოლოლას.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის სამივე ეკონომიკურ ფაკულტეტს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტს და გორის ეკონომიკურ ინსტიტუტს, ყოველწლიურად ასობით არაფრისმცოდნე, დიპლომირებული „სპეციალისტი" ამთავრებს, რომელთა ხელშიც უახლოეს მომავალში აღმოჩნდება დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკა.

ჩვენში ეკონომიკური სწავლების ქვაკუთხედს მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია წარმოადგენს, რომელიც იდეურ და მეთოდოლოგიურ საფუძველს უქმნის ყველა სხვა ეკონომიკურ დისციპლინას.

მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია, როგორც ამას თვით ამ თეორიის კლასიკოსები აღნიშნავდნენ, „ღრმად კლასობრივი, პარტიული მეცნიერებაა". იგი ქადაგებს კაპიტალისტური წყობის სრულ კრახს და პროლეტარიატის დიქტატურის (კომპარტიის დიქტატურის) გზით მსოფლიო კომუნიზმის გაბატონების იდეას. უკანასკნელი სამოცდაათი წლის განმავლობაში მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია ერთგულად ემსახურებოდა ტოტალიტარულ რეჟიმს და დღესაც ოფიციალური იდეოლოგიის მძლავრ დასაყრდენს წარმოადგენს.

იმისათვის, რომ საქართველოს მიეცეს საშუალება ჯანსაღი ეკონომიკური კადრების ყოლისა, აუცილებელია: ეკონომიკური სწავლების სისტემის გათავისუფლება მარქსისტულ-ლენინური თეორიებისაგან, ამ თეორიების სავალდებულო სწავლების აკრძალვა, ეკონომიკური სწავლების სისტემის ძირეული რეორგანიზაცია, საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის ნაცვლად, შემოღებულ უნდა იქნას, პოზიტიური ეკონომიკის კურსი (ეკონომიკის) და „საბჭოთა ეკონომიკის" პრაქტიკული კურსი.

პარალელურად უნდა ხდებოდეს სხვა ეკონომიკური დისციპლინების პოზიტიური ეკონომიკის კურსთან შეთანაწყობა. ამასთან ერთად, სტუდენტებს უნდა მიეცეთ საშუალება დაეუფლონ სხვადასხვა ეკონომიკურ თეორიებსა და მიმდინარეობებს.

ეკონომიკური სწავლების ახლებური სისტემის, კონკრეტული პროგრამებისა და სახელმძღვანელოების მომზადებისათვის უნდა შეიქმნას ფართო უფლებებით აღჭურვილი კომისია, რომელსაც დააფინანსებს მთავრობა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ შევძლებთ რეალური წვლილის შეტანას ამ დიდ ეროვნულ საქმეში.

მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის გაუქმების დღიდან, ვიდრე არ დაიწყება პოზიტიური ეკონომიკის კურსის სწავლება, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია შეეცდება საკუთარი ძალებით ჩაატაროს ალტერნატიული ლექციები.

დრო არ ითმენს! ვიმედოვნებთ, რომ ფართო საზოგადოებრიობა მხარს დაგვიჭერს.

**საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მმართველი კომიტეტი.**

# კვალიფიკაცია აიმაღლა(?!)

ჩვენი „დიადი ქვეყნის" პოლიტიკურმა ხრწნამ რომ აპოგეას მიაღწია ე. წ. უძრაობის ეპოქაში, ეს უკვე დიდი ხანია საიდუმლოებას არ წარმოადგენს. ფორმალიზმის გაფურჩქნაც სწორედ ამ პერიოდზე მოდის. გაგაცნობთ ერთ დოკუმენტს, რომელიც ფორმალიზმის შესანიშნავი ნიმუშია. ეს გახლავთ მოწმობა — გაცემული აკაკი გაბრიელის ძე შანიძეზე, რომელიც თურმე — არც მეტი, არც ნაკლები — „1983 წლის 25 იანვრიდან 3 თებერვლამდე იმაღლებდა (?! თ. კ.) კვალიფიკაციას ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრათა გამგეების თათბირ-სემინარზე".

მოწმობას ხელს აწერენ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ი. ჩხიკვიშვილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. მ. ოკუჯავა. რა თქმა უნდა, ზემოხსენებული დაწესებულებების ბეჭდებითაცაა დამოწმებული ხსენებული დოკუმენტი.

მკითხველი ალბათ იოლად წარმოიდგენს, თუ როგორ აიმაღლებდა ას წელს მიტანებული მხცოვანი მეცნიერი კვალიფიკაციას — საკითხავი მხოლოდ იმ პიროვნებების ვინაობაა, ვინც „დაგვიმოძღვრა" ქართული ენის გრამატიკის ავტორი.

აღსანიშნავია, ერთი გარემოებაც: დოკუმენტის შემდგენლებს ეტყობა ეუხერხულად ბატონ აკაკისთვის მოწმობის გადაცემა და... უნივერსიტეტის VI კორპუსის ერთ ერთ აუდიტორიაში იპოვნა იგი ამ სტრიქონების ავტორმა. ოღონდ ეგ არის, თავსატეხიც გაგვიჩნდა: ვის მივართვათ ეს უნიკალური ექსპონატი — ბატონ აკაკი შანიძის არქივს იგი ვერაფერს შემატებს და ქართული ბიუროკრატიის მუზეუმი კი ჯერაც არ შექმნილა. იქნებ გინესის ცნობილ წიგნში დაიკავოს ამ „შედევრმა" თავისი ადგილი?



ამხ. (გვარი, სახელი, მამის სახელი)

(სამეცნიერო წოდება)

(უმაღლესი სასწავლებლის დასახელება)

1983 წლის 25 იანვრიდან 3 თებერვლამდე იმაღლებდა კვალიფიკაციას ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრათა გამგეების თათბირ-სემინარზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (დ. ი. ჩხიკვიშვილი)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (ვ. მ. ოკუჯავა)

**თეიმურაზ კვირკველია**

# ვითხოვთ რიგგარეშე სესიას!

სსრკ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოების მიერ ბოლო დროს მიღებული საკანონმდებლო აქტები წარმოადგენს იურიდიულ აგრესიას (ძნელად განსასაზღვრი რეალური შედეგებით), მიმართულს საქართველოს სახელმწიფოებრიობის საბოლოოდ დასამარებისკენ, რამაც ქართული საზოგადოებრიობის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. როგორც ჩანს აუცილებელია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის მოწვევა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს ინტერესების ფორმალურ-იურიდიული დაცვა მაინც. ამასთან დაკავშირებით სსფ-ს ფრაქციამ — ეროვნულ-ლიბერალურმა კავშირმა — მოამზადა ერთგვარი პრინციპები გადაწყვეტილებებისა და (დამუფნებული 1990 წლის 9 მარტს რიგგარეშე სესიის დადგენილებაზე), რომელსაც მოკრძალებით სთავაზობს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებსა და ფართო საზოგადოებას:

**ვინაიდან საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება და სამხედრო ინტერვენციის გზით 1921 წლის 25 თებერვალს მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, რაც შემდგომში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს მიერთებით (ანექსიით) დასრულდა, საქართველოს დღევანდელი სამართლებრივი სტატუსი — „საქართველოს სსრ" — და არსებული ხელისუფლების სტრუქტურა და საკანონმდებლო აქტების სისტემები როგორც ფორმალურ-იურიდიულად, ასევე ისტორიულ-ფაქტობრივად, საერთაშორისო სამართლისა და ზოგადსაკაცობრიო სამართლიანობის პოზიციიდან სრულიად უკანონოა.**

**აღიარებს რა საერთაშორისო სამართლის ნორმების უდაო უპირატესობას სახელმწიფო (კერძოდ, სსრკ) სამართლის ნორმების მიმართ, საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენის გზაზე სსრკ სახელმწიფო სამართლის ნორმებით ხელმძღვანელობა.**

**ზემოთ თქმულიდან გამომდინარე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ადგენს:**

**1. ამიერიდან, ფორმალურ-იურიდიულად სსრკ იურისდიქცია აღარ ვრცელდება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.**

**2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ისწრაფვის სსრკ-სთან მოლაპარაკების გზით ფაქტობრივად აღადგინოს საქართველოს დაკარგული დამოუკიდებლობა (სუვერენიტეტი) 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების საფუძველზე.**

**3. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო უარყოფს „დემოკრატიული ცენტრალიზმის" წინაამდეგობრივ პრინციპს და ისწრაფვის არა სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქციების გადანაწილებისკენ, არამედ მისი მთლიანად შეცვლის ორგანიზაციებისკენ.**

**4. ვინაიდან საბჭოთა რუსეთის, ხოლო შემდგომ სსრკ ჯარების ნაწილები დღევანდელამდე პერიოდულად ახორციელებდნენ საქართველოს მოსახლეობის უსასტიკეს სისხლიან დარბევებს, საქართველოს მიმართ ეს ჯარები განიხილება როგორც საოკუპაციო და 1949 წლის ჟენევის კონვენციის თანახმად (სსრკ-ს ხელი აქვს მოწერილი) საქართველოში მცხოვრები ჭაბუკები არ არიან ვალდებულნი იმსახურონ სსრკ-ს საოკუპაციო ჯარში.**

**5. საქართველოს უზენაესი საბჭო ისწრაფვის საქართველოს ეროვნულ ფორუმთან და სხვა პოლიტიკურ მოძრაობებთან კონსენსუსის საფუძველზე შექმნას ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მრავალპარტიულ არჩევნებს და ამ არჩევნების ჩატარებისთანავე გადასცემს მას თავის ძალაუფლებას (ცხადია, რომ ამ არჩევნებში ხმის უფლებით არ ისარგებლებენ სსრკ-ს საოკუპაციო ჯარის წარმომადგენლები).. ეს ახლად შექმნილი ხელისუფლების ორგანო შეიძლება განხილულ იქნას როგორც დროებითი თვითმართველობის ორგანო, მოწოდებული ხელი შეუწყოს საქართველოს ოკუპაციის შედეგების სრულ ლიკვიდაციას.**

**სსფ-ს ფრაქცია — ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი საჭირისუფლო

# მოვითხოვთ მიწებს...

## ანუ ჭირისუფალი დაკეტილ კართან



18 აპრილი. თბილისი-ბათუმის მატარებელი. ყველა მგზავრს ერთი სასაუბრო გასჩენია და ვაგონის .ვიწრო დერეფანში ცხარე კამათია. 16 აპრილს მთიანი აჭარიდან ქობულეთის რაიონში 700 ოჯახი თვითნებურად ჩამოსახლებულა. — „ამა, რა უნდა ექნათ", „ძალიან კარგი", „ამბობენ, სხვა რაიონებიდან მოჰყავდათ ხალხი ჩასასახლებლად და ამათმა დაასწრესო", „მაგათ იქედან ვერავინ აშლის", „რათ უნდათ მეურნეობა, მიწები ხალხს მისცენ" —ცხარობს ახალგაზრდა კაცი და ეტყობა განაწყენებულია — შემოდგომაზე მეც დამატოვებინეს სოფელი და ლაგოდეხის რაიონში გადავსახლდიო. მერე ათას ცრუ თუ ჭეშმარიტ არგუმენტს იშველიებს და იქეთ მიჰყავს საუბარი, რომ თურმე საქართველოში იმერელი იმერეთში უნდა ცხოვრობდეს, გურული გურიაში, აჭარელი აჭარაში, კახელი კახეთში. კარგით, ბატონო, მაგრამ აქვე ისიც ვთქვათ, ბარემ, თუ ასეა, რატომ უნდა წლობით მის კუთხეს, მის მამულს შეჩვეულ შუახეველ თუ ხულოელ კაცს ქობულეთში ჩასახლება. ხომ კარგადაა ნათქვამი, უცხო მხარეში საქართველოს დესპანი ხარ, საქართველოში შენი კუთხის, შენს კუთხეში შენი რაიონის, რაიონში შენი სოფლის, სოფელში კი შენი ეზო ყურის...

●

ვისაც ქობულეთიდან ბათუმში უმგზავრია, უსათუოდ დაამახსოვრდებოდა ადგილი, სადაც გზას პალმების მწკრივი მიუყვება და ჩაქვიდან ახალგასულის თვალწინ ფერდობებზე ჩაის პლანტაციები იშლება. მაგრამ 16 აპრილს, დილით აქ სულ სხვა სანახაობა გაჩნდა. მთელი ღამე არ შეწყდარა სატვირთო მანქანების ნაკადი. დილით კი მთელი ფერდობებზე 250-მდე ფიცრული სახლი სოკოებივით ამოიზიდა. საღამომდე მათი რიცხვი 750-ს შეადგენდა. როგორც გაირკვა, თავდაპირველად ამ ადგილებში ჩასახლების მსურველნი შუახევის რაიონის სოფელ ჭვანის მცხოვრებლები იყვნენ, შემდეგ თითო-ოროლა სხვა რაიონის სოფლებიდანაც შემოემატნენ.

●

**იოსებ წულუკიძე, ქობულეთის რაიონის ჩაქვის აგროსამრეწველო კომბინატის დირექტორი** — ეს ტერიტორია კომბინატის 22-ე ბრიგადის კუთვნილებაა, რომელზედაც თითქმის 100 წლის წინათ გაშენდა პირველი ჩაის პლანტაცია. შემდეგ ჩაის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ორიოდე წლის წინ 25 ჰექტარი ამოიძირკვა, 15 ჰექტარზე ნიადაგის გადამუშავების შემდეგ დაირგო ჩაი, ხოლო 5 ჰექტარზე ციტრუსის ახალი, საადრეო ჯიში „ტიხარა", რომელიც ანასეულის სამეცნიერო საწარმოო გაერთიანებაში გამოიყვანეს, სამუშაოები დაახლოებით 400 ათას მანეთზე მეტი დაჯდა. ეს უნდა ყოფილიყო ჩაისა და ციტრუსოვანთა ახალი ჯიშების საჩვენებელი ნაკვეთი.

●

ჩვენი ჩასვლისას 19 აპრილს, დილით ფერდობზე ორიოდე ფიცრული ჩანდა. გზის პირზე ბარგაკრული ხალხი ისხდა და მთისკენ მიმავალ ავტომანქანებს ელოდა. რა მოხდა, რისთვის დასჭირდათ მთიანი აჭარის ძირძველ, მკვიდრ მოსახლეობას ეს აქცია? ჭვანაში ხომ არ განვითარებულა სტიქიური მოვლენები და არც ამჯერად იმყოფებოდნენ სიცოცხლისათვის სახიფათო ზონაში. არა და ბარში ადგილები წინასწარ შეურჩევიათ კიდეც — ქობულეთის განაპირას სატყეო მეურნეობის თიკერის სამონადირეო ალკვეთილის დაპატრონებაც მოინდომეს და თვითნებურად იზომავდნენ მიწებს, სადაც ამჟამად თხილი და ციტრუსებია გაშენებული. წარამარა უცვლიდნენ ადგილებს აბრებს, რომლებზედაც გვარი და სახელი წაეწერათ, თითქოს და მარტო ეს ყოფილიყო საჭირო მიწების დასამტკიცებლად. და ეს ხდება მაშინ, როცა ქობულეთი მცირემიწიან რაიონად ითვლება, მაშინ, როცა ქობულეთში 4000-მდე მკვიდრი ოჯახია საკარმიდამო მიწით დასაკმაყოფილებელი, როცა ოთხი ძმა ერთ სახლში ცხოვრობს,

**ავთანდილ ბეჟანიძე, ქობულეთის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე** — ბოლო 20 წლის მანძილზე იშვიათი გამონაკლისის გარდა არ გამოყოფილა მიწის ნაკვეთი, რადგან საკარმიდამო მიწის ფონდი არაა. თვით ჩაქვის მეურნეობაში 150 ოჯახია უბინაო, ბარაკის ტიპის სახლებში ჯერაც ბევრი ცხოვრობს. გასულ წელს მეურნეობას 60-ბინიანი სახლი უნდა აეშენებინა, მაგრამ შეჩერდა, რადგან სტიქიით დაზარალებულ აჭარელთათვის იქნა ყველაფერი მობილიზებული. ჩვენთან სოფელ ხინოში 16 ოჯახი კვლავ დამეწყრილ ზონაში ცხოვრობს და უპირველესად თუ რამ საშუალება გვექნება, იმათ უნდა დავეხმაროთ.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჭვანელები თავად დარწმუნდნენ, რომ ვიღაცის წაქეზებით მოტყუვდნენ, როგორც გვაცნობეს, შინაგან საქმეთა ორგანოებმა დააკავეს ამ „ღონისძიების" მომზადებაში, ეჭვმიტანილი პირები.

**რეზო პატარიძე, საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი** — ეს არ იყო ნაუცბათევად, გაუთვლელად მომზადებული ღონისძიება. ეს შორს გამიზნული აქციის დასაწყისი იყო, რომელიც მთისა და ბარის მოსახლეობის კონფრონტაციას, დაპირისპირებას ჰგავდა. ამჟამად აღსადგენი ბევრი ექნებათ, მეურნეობაში ზარალიც ბევრია, მაგრამ მატერიალურ ზარალზე არაფერს ვიტყვით, ეს ერთგვარი მორალური შეურაცხყოფა იყო. ადგილობრივი მოსახლეობის, მთლად ისეც არ გავიგოთ, თითქოს ჭვანელები ძალიან დალხინებულები იყვნენ, იქაც ბევრია მრავალრიცხოვანი, გასაყოფი ოჯახები, მაგრამ აქ გითხარით, მსგავსი ჩვენს რაიონში 4000-ზე მეტია. სტიქიით დაზარალებულებს კი (შესაძლებლობისამებრ) დავეხმარეთ.

ალბათ მთლად არც იმის დაუნახაობა შეიძლება, წელიწადში რესპუბლიკის 37 რაიონში როგორ ჩასახლდა მთიანი აჭარის მოსახლეობა, რა ამბავი ავტეხეთ სამხრეთში მათი ბინების მშენებლობაზე, მთელი რესპუბლიკა როგორ აშენებდა ჩუნჩხას და პტენას, კოთელიას, გოგაშენს და აფნიას... ალბათ არც ის ეწყინება მავანს და მავანს, ერთ ეპიზოდს თუ მოვიგონებთ, რადგან თავად ვიხილეთ და სრული ჭეშმარიტებაა: ამ ზაფხულს პტენაში, როცა დედაქალაქიდან და სხვა კუთხეებიდან თვით ქალებიც არ თაკილობდნენ ჩამოსვლას და მშენებლობაზე მუშაობას, იქვე სკოლის შენობასა და ფიცრულებში შეხიზნული მთიანი აჭარიდან გადმოსახლებულები ერთხელ არ მისულან, ერთი აგურიც არ ჩაუდიათ საკუთარი სახლის კედელში და პაპანაქება სიცხეში წყაროსთან შეკრებილები ისეთი პრეტენზიული ტონითა და მომთხოვნელობით ლაპარაკობდნენ, თითქოს სტიქიური უბედურება მართლა ვინმეს შეკვეთით მომხდარიყოს (რა თქმა უნდა, ყველას მისამართით სასაყვედუროდ არ მოგვიტანია ეს ფაქტი). მიუხედავად ამისა, უსათუოდ პასუხი უნდა მოეთხოვოს იმ სამსახურებს, რაიონის ხელმძღვანელებს, რომლებმაც დღემდე ვერ შეუქმნა პირობები მათ რაიონში ჩასახლებულებს. ერთ-ერთი რაიონის ხელმძღვანელის ჩვენებას თუ დავეყრდნობით, აჭარაში დაზარალებულ ერთ ოჯახს თავდაპირველად ლანჩხუთის რაიონში გამოვუყავით საკარმიდამო და გაყიდაო. მერე კვლავ მოითხოვა, დავეხმარეთ, ბოლნისში ამჟამად მოვუზომეთ საკარმიდამო, როგორც ირკვევა, არც იქ მოისურვა, ახლა ქობულეთის რაიონში დასახლებას ითხოვს დაჟინებით.

**ალექსანდრე ჯიბლაძე — საქართველოს კომპარტიის შუახევის რაიკომის მეორე მდივანი** — ეკონომიკური, სოციალური პრობლემები და პოლიტიკა ერთმანეთს გადაეჭდო და ხალხი ზოგჯერ ამისი ბრმა იარაღი ხდება. ფაქტი სახეზეა. დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაწევა მოგვიხდა, რათა ხალხი რაიონში დაგვებრუნებინა. ფაქტობრივად ეს ხალხი ჩვენს სიტყვას დაჰყვა. აქ იყვნენ რესპუბლიკის წარმომადგენლები .შეიქმნა სპეციალური კომისიები. ამჟამად ვამზადებთ აჭარის მინისტრთა საბჭოს დადგენილების პროექტს. გზადაგზა ამ ხალხს ყველა პრობლემა უნდა გადავუწყვიტოთ. გვჭირდება ზემდგომი ორგანოების დახმარებაც, რომ ეს ხალხი გაწბილებული არ დაგვრჩეს.

**ვლადიმერ მამულაძე, შუახევის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე** — ქობულეთის მოსახლეობამ გამოიჩინა უდიდესი წინდახედულება. მიუხედავად იმისა. რომ პროტესტი, ამ ფაქტით აღშფოთება დიდი იყო, ერთი მოქალაქეც კი არ შემოსულა და ინციდენტს ადგილი არ ჰქონია, არა და ამისი დიდი საშიშროება იყო. გვინდა მადლობა ვუთხრათ. თითოეულ ქობულეთელს სულგრძელობის, სიდინჯისა და შენდობისათვის.

მართალია, მთაში ცხოვრება რთულია, მაგრამ უფრო რთული ალბათ მაინც ის არის, როცა მთიელი კაცი თავის მამულს აუგად უყურებს და სხვაგან გაურბის გული. წლების მერე, ხომ არ დაგვიდგება იმის საშიშროება, მთიანი აჭარა რაჭის პრობლემასავით გვექცეს და თითო ოროლა კაცი შემორჩეს ხულოს და ქედას. დღეს ხომ საქართველოში, შველებურად, ალარავის უნდა ბარის კეთილდღეობა დაცარიელებული, მიტოვებული მთის ხარჯზე...



●

სულ სხვაგვარი სიტუაცია დაგვიხვდა ბათუმში, აჭარის მინისტრთა საბჭოს შენობის წინ ხალხმრავლობაა „მოგვეცით მიწა და ბინა. წაბლანელები", „მოვითხოვთ მიწას აჭარაში". ვკითხულობთ ტრანსპარანტებზე. აქ მეორე დღეა შიმშილს აგრძელებენ წაბლანელები. ჭვანელებს რაღა უნდოდათ, სახლი მაგათ არ. დანგრევიათ და ხალხი მაგათ არ დაუკარგავთ — ბრაზობს გულზე ბავშვმიხუტებული ქალი — წაბლანა მიწამ ჩაყლაპა და აგერ ერთი წელია პანსიონატში ვცხოვრობ ჩემი სამი შვილით. იქ მოწინავე კოლმეურნე ვიყავი. თამბაქოს პლანტაციაში მუშაობიდან დაწყებული, ყველაფერს ვაკეთებდი, შრომა არ გვეზარება, მაგრამ ვინ გვკითხავს უბრალოებას, სადაც არ მივედით, ყველგან უარით გამომისტუმრეს, ჩაწერილი არა ხარ და მუშაობას ვერ დაგაწყებინებთო. ახალგაზრდა ქალი ვარ და სადგურში მხვეტავად ვმუშაობ, ჩემი ქმარი კი — ნაგვის მანქანაზე. რა ვქნა, ბავშვებს რჩენა უნდათ. ის მაინც ვიცოდე, როდემდე უნდა ვიყო ასე უბინაო. პანსიონატ „მესხეთში" ახლა ოცამდე წაბლანელი ოჯახი ცხოვრობს. რამდენიმე ოჯახი დაქირავებულ ბინაშია. წასასვლელი არსად გვაქვს. დავიღალეთ...

რომელი წაბლანელისთვისაც არ უნდა გეკითხათ, ყველა ამ აზრისა იყო, ყველას ერთი აწუხებდა და სტკიოდა. თუმცა აჭაურებიც მხოლოდ აჭარაში ჩასახლებას მოითხოვდნენ, მაგრამ იმდენად მობეზრებული იყვნენ, რომ ერთ „დათმობაზე" კი მიდიოდნენ, დიდი ოჯახებიდან ერთი მაინც უნდა დარჩეს აქ, დანარჩენები კი საქართველოშიც წავალთო.

თუ უფრო ჩაეკითხებოდით, გაგიმარტავდნენ, რომ აჭარა აჭარაა და საქართველო — სამეგრელო, გურია, იმერეთი, კახეთი ქართლი...

— ჩვენ აქანე ერთი ქუჩა გვეყოფა, წევდენ ქართველები და დიგვიტიონ ჩვენი მიწები, ეყონ რაც იცხოვრეს ჩვენ თოვლი და ყიამეთი გვახრჩობს...

ეს სიტყვები და კიდევ სხვა მსგავსი ჩვენ დიქტოფონზე გვაქვს ჩაწერილი. გამოგიტყდებით, ბევრი ვიფიქრეთ, საჭირო კი იყო მათი დაბეჭდვა? ისედაც ბევრჯერ გულმოკლულ ქართველს ვიღაც პროვოკატორის მიერ (ასეთები კი, როგორც ჩანს, აჭარაში არცთუ ცოტანი არიან) წაქეზებული უბირი კაცის ნათქვამით, რომელსაც სხვებმაც აუბეს მხარი, კიდევ ერთხელ. მოვუკლათ გული? მაგრამ გაჩუმება არ ეგების. ცხადია, ამ ტენდენციას ჩვენ მოსახლეობაში სეპარატიზმის არსებობის დამადასტურებლად ვერ მივიჩნევთ. ამ საკითხებზე ჩვენი გაზეთის ადრეული პუბლიკაციებიდან დარწმუნდით, რომ მსგავსი ტენდენციები უფრო საზოგადოების სხვა ფენებშია და არცთუ დიდი მასშტაბით, მაგრამ ბოლოს და ბოლოს როდის უნდა გავიგოთ მათი გვარები, ვინც ერის დაყოფა-დაცალკევებას ქადაგებს და მტრის წისქვილზე ასხამს წყალს...

...მეორე დღეა. სხედან ქალები აჭარის მინისტრთა საბჭოს შენობის კართან, მამაკაცები მიტინგს აწყობენ, ბევრ სამართლიან საჭირბოროტო საკითხსაც აყენებენ, მაგრამ შესაძლოა არც კი იციან, თუ ზოგიერთს რა გეგმები აქვს, ვინ როგორ გამოიყენებს მათ გულწრფელ გრძნობებს.

მინისტრთა საბჭოსთან კარი კი ჩაკეტილია.

წაბლანელები ბათუმში არიან. მინისტრთა საბჭოსა და საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელები კი — წაბლანაში, დღეს, ხომ 19 აპრილია, აჭარის ტრაგედიის 1 წლისთავი, მაგრამ იქ ვის უსამძიმრებენ, ჭირისუფალი ხომ ბათუმში, დაკეტილ კართან დაუტოვებიათ.

**ნინო კვაჭანტირაძე**
**ოლეგ ბველესიანი**
**ავტორთა ფოტოები**

**სურათებზე: ქალები შიმშილობენ და ამ კარებთან მანამ აპირებენ ყოფნას, სანამ კონკრეტულ დახმარებას არ აღმოუჩენენ; ასე გამოიყურება დღეს ჩაქვის აგროსამრეწველო კომბინატის „ნამარი" ტერიტორია, სადაც ამ დღეებში აღდგენით სამუშაოებს დაიწყებენ; მიტინგი აჭარის მინისტრთა საბჭოს შენობასთან.**



ჩვენი საჭირისუფლო

# „რადა სტირი, რადა სჩივიო?..“

### ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს რესპუბლიკური ინსპექციის უფროსს ბაადურ კუპრეიშვილს

ესიაში ქართველი ერის განზოგადებული სახე დაინახოთ, დღევანდელი საქართველოს მძიმე, სულიერი განწყობილება წარმოიდ ინოთ. მხოლოდ „უქართველოდ დარჩენილ სოფლებს“ რომ

მოწმესთან... **საჭიროა, ენერგიულად ჩაერიონ სათანადო ორგანოები, ძალაუფლების წარმომადგენლები, ერის მესვეურები, გამოიძიონ, დასაჯონ დამნაშავენი, რათა აშოირიდან მაინც მოვუაროთ**

ტირებაში მყოფი“, „ექსპერიმენტები“, „გეგმიური მოდელები“, რამდენი ხანია, რაც „სანიმუშო ქვეყნის“ ასაშენებლად დაძკვიდრდა, მაგრამ დღევანდელ ვითარებას აკმაყოფილებს?..

## მამული, ენა, სარწმუნოება




**გამოვიდა** კიდევ ერთი გაზეთი — „მადლი“. იგი საქართველოს საპატრიარქომ გამოსცა ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს.

გაზეთი თავისი არსით სწრაფწარმავალია, ამის გამო იქნებ ალოგი-




სასუფევლის კარი ... აღდგომით ჩაერე ... რომ „ჭეშმარიტება ... რუეს, სიკეთე — ბოროტებას, სიყვარული სიძულვილს, სიცოცხლე — სიკვდილს“?!

... ორიოს ელცინთან. მრავალმნიშვნელოვანი სათაურით „რუს ადამიანს მაინც გააჩნია სამშობლო“.

„ოქროს საწმისი“ იყიდება საგაზეთო ჯიხურებშიც.

... შეუწყოს ამ დაკარგულ, მარადიულ ღირებულებათა აღდგენას, რათა შევძლოთ ყოველ ადამიანში დავინახოთ ძმა, მამა, და, მეგობარი, შვილი...

# ათკ-ელ აქტივისტებს

## ანუ

## რამდენიმე მოსაზრება ალკკ-ს კოსმეტიკურ მცდელობაზე

**ეროვნული** მოძრაობის აღმავლობამ საქართველოში ბევრი სასიკეთო შედეგი გამოიღო. რაც მთავარია, აღორძინდა ჩაკლული ეროვნული სული, ამას თან მოჰყვა პრაქტიკული **ხდომილებები**: დაიშალა საზოგადოებისათვის მავნე მრავალი ორგანიზაცია, აიკრძალა ცრუმეცნიერებების სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში, გაუქმდა იდეოლოგიური და პოლიტიკური დიქტატი, ახალგაზრდობის გაზეთს შეეცვალა სახელი.., და ბოლოს, წარმატებით დაგვირგვინდა ბრძოლა კომკავშირის წინააღმდეგ, მოხდა მისი ლიკვიდაცია (და არა თვითლიკვიდაცია, როგორც ეს უნდათ წარმო-

ლოს კი ახალგაზრდობას მოუწოდებენ, გახდნენ კომკავშირის ნაირ-

# გიორგი შატბერაშვილი — 80

ფიქრები და [illegible]

## რევაზ ინანიშვილი

# მისი თვალების შუქში

რა სასიამოვნოა, სახელიც რომ გიორგი ერქვა!

თვალები ჰქონდა... მაგრამ მეშინია, ვინმეს უხეშად არ მოეჩვენოს ჩემი გულეული შედარება... თვალები ჰქონდა მსხვილი ნუშის მოყვანილობისა, მშვიდი ფიქრით სავსე. ვიხსენებ და ვერ გამიხსენებია, რომელილაც ჩვენს ტაძარში კი მინახავს ქტიტორის ფრესკა, ოდნავ ზეაპყრობილი მიხებრი თვალებით, აშკარად რომ იკითხება ამ თვალებში — ღირს კი საქმენი ჩემნი ღვთის მადლიან მოხედვად?! ულვაშებიც — გამორჩეული, ისინიც თითქოს ფრესკიდან, ძალიან შავი არა, შუბლი — მაღალი და ნათელი, მელოტობაში გადასული. ქედი — ძლიერი...

რაღა თქმა უნდა, სხვა დროს, ალბათ, სხვანაირი იქნებოდა, მე კი ორმოცდაათიანი შუაწლებიდან რატომღაც ესაც ასე მახსოვს — იმ მხარაწეულს, იმ ხელით პაპიროსის მწეველს. დიდი სიყვარულით წერდა ბავშვებისათვის. „ნაკადულში" რომ ვმუშაობდი, მაშინ დაისტამბა მისი მშვენიერი „ხილთაქება". დაასურათა ეს ფერადი წიგნი ელგუჯა ბერძენიშვილმა. დიდი ფორმატის ყდაზე დახატული იყო უმშვენიერესი ცისფერთვალა გოგონა — მხოლოდ სახე. ტუჩები ჰქონდა იმ გოგონას ალუბლების ფერისა, ალუბლებსავით სალუქი. საყურეებადაც ეკიდა მსხვილი ალუბლები და დიდი სიხარულის შუქს ჰფენდა ირგვლივ. პოემიდანაც სიხარულის შუქი ამოდიოდა.

სად არიან ჩვენი წიგნებისთვის დღეს ეს მხატვრები — წიქარაც რომ დაგვისურათეს, ადიხანჯალაც. რა ნერვიული ნაწყვეტ-ნაწყვეტობა გამეფდა ბოლო ხანების საბავშვო ილუსტრაციებში? სად არის ადრინდელი სიყვარულიანი ურთიერთობა მწერლებსა, მხატვრებსა და გამომცემლობის მუშაკთა შორის? ნამეტანი გავმრავლდით? რა სხვათა სტანდარტებით ნაკარნახებ წიგნებს ვაწვდით დღეს ჩვენს ბავშვებს!

ბატონ გიორგის ვთხოვე, ტოლსტოის საბავშვო მოთხრობები ეთარგმნა, იყო, განა არ იყო თარგმნილი ის მოთხრობები, მაგრამ, სამწუხაროდ, არა ისე, როგორც უკვე იმდროინდელ მთარგმნელობით დონეს შეეფერებოდა. ზამთრისა თუ გაზაფხულის პირის ყიამეთი ამინდები იდგა, გიორგის კმაყოფილებით გაეღიმა, — ნამდვილი სამთარგმნელო ამინდებიაო. წავიდა და მალე მომიტანა სათუთად გაკეთებული ხელნაწერი, ნამდვილი მწერლური თარგმანები მოთხრობებისა.

და როგორ ვწუხვარ, რომ ვგონებ, მხოლოდ, ერთხელ გამოიცა ის თარგმანები.

ადრე, ორმოც-ორმოცდაათიან წლებში ერთი კარგი ტრადიცია არსებობდა მწერალთა კავშირში. იქ კითხულობდნენ მწერლები თავიანთ გამოსაჩენ ახალ ნაწარმოებებს. ასე წაიკითხა დიდმა კონსტანტინემ ნაწყვეტი „დავით აღმაშენებლიდან", დემნა შენგელაიამ „განძი", არჩილ სულაკაურმა „წყალდიდობა".

მეც მომიწია ერთხელ, ვიწრო წრეში, მოთხრობის წაკითხვამ. ეს იყო ჩემი ადრეული „ჩურჩხელები". რამდენ ვინმეს რამდენი კეთილი რჩევა მოუცია ჩემთვის, მაგრამ იმ დღეს რომ გიორგი შატბერაშვილმა მითხრა, ისეთი მაინც არაფერი მახსოვს: შენი მოთხრობის ძირეული ამბავი ნაფოტივით ტივტივებს მეტად ვრცელ ექსპოზიციასა და ფინალს შორისო. მართლაც — ასე იყო დაწერილი ის „ჩურჩხელებიც", „ბუდრუგანაშიც", „ზამთრის ზღაპარიც" და რამდენიმე სხვა მოთხრობაც. იმ დღის შემდეგ კი სულ დადარაჯებული ვიყავი, ასე აღარ გამომსვლოდა.

კინაღამ მთლად გამომრჩა: ჩემი მშობლიური სოფლის სცენაზე დადგმულ ბატონი გიორგის პიესაში — „ფიქრის გორა" ნათამაშევი მქონდა პროფესორის როლი. ეს რომ მოვახსენე, კეთილ ღიმილით მითხრა, შენ, უთუოდ კარგი პროფესორი იქნებოდი. მასიამოვნა.

ორივეს დიდად მოგვწონდა გურამ რჩეულიშვილი. ბატონი გიორგი ამბობდა, — აი, ქართულიც რომ ისე იცოდეს, იმ დონეზე, როგორც აზროვნებს და ხედავს, მწერალი ველარ შეედრებოდაო. მე არ ვიზიარებდი ამ ნათქვამს, — გურამმა ზედმიწევნით იცის ის ქართული, რაც მის მოთხრობებს სჭირდება-მეთქი. ბატონ გიორგის მხედველობაში ჰქონდა ხალხიდან წამოსული თხრობითი კილო, საგნისა თუ მოვლენის სიტყვაში მოქცევის ჯადოქრობამდე ატანილი უნარი. მე მაინც ვჯიუტობდი. ვუწოდებდი გურამის ენას ქალაქელთა ენას, თუმცა თვითონ გურამსაც კი არაერთხელ უთქვამს, ენა ისე არ ვიცი, როგორც ჩვენს ქართულს ეკადრებაო. აძლევდა კიდეც უფლებას რედაქციის მუშაკებს ესწორებინათ მისეული, რა თქმა უნდა, ზოგიერთი ფრაზა.

სულ მინდოდა, ბატონი გიორგის გვერდით მოვხვედრილიყავი კავთურასა თუ სხვა მდინარის პირას, მეჩვენებოდა და დღესაც მეჩვენება, რომ მის ნამდვილ სახეს ასეთ ადგილებში უფრო ვნახავდი. ბედმა კი, ერთხელ, მხოლოდ ერთხელ შემახვედრა ჩვენი ქალაქის გარეთ. ისიც... ზემოთ უკვე მოვყევი პირველი ბახტრიონობის ერთი ნაწილი — ბატონი გიორგის საჭიდაო ფორზე გადასვლა. იმ ბახტრიონობის ჩვეული ფინალი კიდევ უფრო კურიოზული აღმოჩნდა. თბილისისაკენ გამობრუნებული ჩვენი ავტობუსი სოფელ რუისპირსა თუ თელავის გამონაპირში შეჩერდა. მეჭურჭლე იყო ერთი, — კოკები, სურები, ხელადები და ლიტრები ჰქონდა გამოფენილი. თითო კახური ხელადა ვიყიდეთ, მაშინდელ ხუთ-ხუთ მანეთად, ე. ი. დღევანდელ 50-50 კაპიკად. ბატონმა გიორგიმაც იყიდა. მე, ვითომცდა დიდად გარკვეული კახურ მეთუნეობაში (ერთი ეს ვიცოდი — წერნაგი ერქვა მოხატვისათვის გამოყენებულ აქაურ საღებავს), ავუხირდი ბატონ გიორგის, თქვენი ხელადა კარგი გამომწვარი არ არის, აი, ასეთი, ცოტა მომწვანო ფერისა აიღეთ-მეთქი. ბატონ გიორგის ჩახჩახა წითელი მოსწონდა. ჯერ წკიპურტებით ვუსინჯავდით ხელადებს ხმას, მერე ისაც არ ვიკმარეთ, — მე ვითამამე, — ხელადა ხელადაზე მივაჭახუნე, ამ ჯერზეც, რა თქმა უნდა, ხმის გამოცემის მიზნით, მაგრამ ღვინისაგან საკმაოზე მეტად ამსუბუქებულმა, ვერ მოვზომე და დარტყმა ისეთი აღმოჩნდა, ორივე ხელადა ჩამოიმსხვრა. მარტო ყურები შეგვრჩა ხელში. და ეს ყოველივე მოხდა მეჭურჭლის თვალწინ. იმ მეჭურჭლემ ერთი კი ცუდად დააჭყიტა თვალები, მერე ამოიღო ჩვენი ხუთმანეთიანები, დახია, დახია, დაიყარა ნახევები ხელისგულზე, — ფუო! — გაფანტა აქეთ-იქით, დაიწყო ხელები მუხლებზე და გაქავდა გამწყრალი კერპივით. ოი! როგორ შეიძლება იმ წუთეულის ბატონი გიორგის სახის დავიწყება. ერთი ეს თქვა ღრმა სევდით, — დღეს ჩემი დღე არ არისო, — და როგორღაც ჩამუქებული, მიწისკენ დახრილი წავიდა ავტობუსისაკენ.

შემდგომში რამდენჯერმე მოვუბოდიშე იმ ამბის გამო. ბატონ გიორგის სევდიანად გაეღიმებოდა და თავის გაქნევით იტყოდა ხოლმე, — აუჰ, რა გვიქნა იმ მეჭურჭლემ, კაცოო!..

კიდევ ერთხელ ვიხრი ბოდიშით მუხლს ბატონი გიორგის საოცრად კეთილი, სევდით ალსავსე დიდი თვალების წინაშე.

●

ეს ჩანაწერი წავიკითხე კასპის კულტურის სახლში. კასპიდან წავედით კავთისხევში, იქიდან — თვალადში. პირველად ვნახე შატბერაშვილების სახლი, თითქოსდა ზედ მის აივანთან ბუმბერაზული სიზვიადით ამართული პირამიდული მთა საკატია, და დავრწმუნდი — უთუოდ ამ ზვიადმა მთამ ბევრი რამ კაცური და ამაღლებული ჩაუნერგა პატარა გიორგი შატბერაშვილს.

ასეთად მახსოვს. მშვიდი ნაბიჯით შემოდიოდა ხოლმე მწერალთა კავშირში თუ გამომცემლობებში, მშვიდად ეწეოდა თუთუნს, მშვიდი ხმით ლაპარაკობდა.

სხვა შემთხვევაში, სხვაზე რომ ამდენჯერ მეთქვა — მშვიდი და მშვიდი — შესაძლებელია, ერთი მწიგნობარი თაგუნია კაცუნიას პორტრეტი გამომსვლოდა. გიორგი შატბერაშვილის ხსენებისას — არა. ყველა თქვენგანმა იცის, რა რკინის უღელიც ატარა რამდენიმე წლის განმავლობაში, თანაც რა გულსალთა და მკლავმაგართა ტრფიალი იყო. მარტო ის რად ღირს — ხიზამბარელის უკვდავი მონუმენტი რომ დაგვიტოვა! გიორგის სიმშვიდე დიდი კაცების სიმშვიდე იყო. შეიძლება თქვენთვის მოულოდნელად, მაგრამ მე ერთი ქუთაისელი ვაჟკაცის სიმშვიდე მახსენდება. ის ვაჟკაცი ტკბილ პურს გეახლებოდათ მეგობრებში, ვიღაც ულირსი აუხირდა, აუჭინჭყლდა. ქუთაისელმა ვაჟკაცმა მშვიდად უთხრა, — ტყუილი იმედი გაქვს, ახლა ამ სუფრას მივანებებ თავს და შენ გამოგყვები, რომ გიბაყუნო და გიბაყუნოო!.. ერთი ამბავიც არ არის შემთხვევითი. პირველ ბახტრიონობაზე ვიყავით ახმეტაში. ბატონი გიორგიც იქ იყო. ყველანი შევყინულილდით, უფრო, რა თქმა უნდა, წვრილფეხობა. მკლავმაგრობაზე წავიდა სიტყვა, იბრუნა, იტრიალა და იქამდე მივიდა, ბატონი გიორგი ოცი თუ ოცდახუთი წლით უმცროს ახალგაზრდას გადაჰყვა საჭიდაო ფორზე. მაშინდელ ახალგაზრდაზე (ის დღეს დიდად გამოჩენილი მწერალია) რამდენჯერმე უთქვამთ, — გიორგი შატბერაშვილი წაუქცევიაო. არა, მე იქ ვიყავი, ორიოდ ნაბიჯიდან ვუყურებდი, ცოტა რამაც მესმის ჩვენი ჭიდაობისა, და წაუქცევიაო ამას ნულარ მივაწერთ დღეს დიდად გამოჩენილ მწერალს.

მაშინ ხომ მთლად გასაოცარი თვალები ჰქონდა ბატონ გიორგის — საყვარლად შემცბარი, ალბათ ამის გამო უფრო — ცოტა ემსუბუქა თავისი საქციელი Post Factum, მაგრამ, ჩვენ, ახალგაზრდები, გახარებულნი ვიყავით. ვის არ გაახარებს ყმაწვილური გულისა და ენერგიის წყარომაგებული კაცი! თითქმის ყოველთვის წიგნზე ჰქონდა ამოწყობილი ოლიანიშ—

## წერილი რედაქციას

# აღდგენას მოვითხოვთ!

(დასასრული)

მთავარია ქერექენმა დაკარგა თავისი სახე, რაც აშენებული იყო, დაანგრიეს, მისი მასალებით ააშენეს ბოსელი და საღორე. ახლის აშენებაზე კი არავის უფიქრია. გაერთიანებულმა კოლმეურნეობამ 29 წლის მანძილზე ვერ გაამართლა ჩვენი იმედები.

ყოველივე ამაზე და სხვა სატკივარზე ახლა სინანულით ამბობენ სოფელ კუტოლის ქერექენის ზონის მცხოვრები შრომის ვეტერანები — ინდიკო გოგოხია, მოკოდია გოგუა, ყორა გოგოხია, ელგუჯა დანელია, რევაზ გერგედავა, თინა გოგოხია, შალვა შონია, ლიმანდა პაპავა, ბაგრატ გოგოხია, აიდა არღვლიანი, მელენტ გოგოხია და სხვები.

მოსახლეობის 88 პროცენტი კოლმეურნეობის აღდგენას მოითხოვს. (შემდგომში თვით სოფლის მშრომელები გადაწყვიტავენ სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების რომელი ფორმა იქნება უმჯობესი). მიზეზი ბევრია: „კუტოლის" ცენტრამდე შორია, კეთილმოუწყობელია გზა, არ არის საბავშვო ბაგა-ბაღი, კლუბი, სოფლის მუშაკაცს თავი ვერ ურჩენია. ერთადერთი, რაც აშენდა, საშუალო სკოლის ტიპიური შენობაა, მაგრამ ესეც სხვისი დამსახურებაა. ერთი სიტყვით, სოფელში ბევრი პრობლემაა.

ბევრჯერ გვითხოვია პირობების გაუმჯობესება, მაგრამ ცდას შედეგი არ მოჰყოლია, ამიტომაც ახალგაზრდობა გარბის სოფლიდან. სასოფლო საბჭოს მონაცემებით მრავალი ჩვენებური სხვა მხარეში, ძირითადად, რუსეთში მუშაობს... 1981 წლიდან გახშირდა განცხადებები. ღია ცის ქვეშ ვატარებდით კრებებს შინიდან მოგვქონდა სკამები. სოფელს სანატრელი გაუხდა კინო, კონცერტი. თვეში — ორ თვეში ერთხელ თუ გაიმართებოდა ლონისძიება და ისიც უცებ მოვარდნილი წვიმის გამო წყდებოდა...

შემდეგ დაემატა 9 აპრილისა და 15-16 ივლისის ამბები. ყოველივემ მწვავედ იმოქმედა. 1989 წლის 28 ივლისს სოფელში საგაფიცვო კომიტეტი შეიქმნა; მომხდარი ტრაგედიების გამომწვევი მიზეზი ჯერაც არ არის ახსნილი, დამნაშავეთა მხილება-დასჯა დღემდე ჭიანურდება. ამიტომ რაიონის ხელმძღვანელობის გადაყენება მოვითხოვეთ. ილორში, მოშიმშილეთა შორის, ჩვენი წარმომადგენელიც დაჯდა, აფხაზეთის ქართველ სტუდენტთა გაფიცვას სოლიდარობაც გამოვუცხადეთ თბილისის უნივერსიტეტის ფილიალის გახსნის წინააღმდეგობის ალსაკვეთად, ცხრა აპრილის მსხვერპლთა გლოვის დღეებში ხელისშემშლელთა გამოხდომებმაც იმოქმედა, მალე კოლმეურნეობის აღდგენის დაჩქარება მოვითხოვეთ.

არაერთხელ მივმართეთ ზემდგომ ინსტანციებს, ხელმძღვანელი ამხანაგები ჩამოვიდნენ ოჩამჩირედან, სოხუმიდან, ყველა აღნიშნავდა, რომ ჩვენს თხოვნას დააკმაყოფილებდნენ.

ამჟამად, უკვე მეორედ მივმართეთ საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, კერძოდ გივი გუმბარიძეს, ნოდარ ჭითანავას, გურამ მგელაძეს, ლუდვიგ ლურწკაიას, ამ უკანასკნელმა საქმე საქართველოს რესპუბლიკის განსახილველად გადაუგზავნა აფხაზეთის აგროსამრეწველო კომიტეტს. მან კი მოითხოვა კომისია საქართველოს აგროსამრეწველო კომიტეტიდან, თბილისიდან მოვლინებული იქნენ შოთა კიკალიშვილი, ირაკლი ცისკარიშვილი, რ. კორინთელი, რომლებმაც შეისწავლეს სოფელში შექმნილი მდგომარეობა და მიუთითეს სოფლის ხელმძღვანელობას, მოკლე ხანში დაეკმაყოფილებინათ ჩვენი კანონიერი მოთხოვნა.

და აი, ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ამა წლის 30 იანვარს კუტოლის კოლმეურნეობაში გაიმართა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა ქერექენის კოლმეურნეობის აღდგენის საკითხი. უნდა ითქვას, საერთო კრება არ იყო დემოკრატიული — კრებამ ჩვენს სასარგებლოდ არაფერი გადაწყვიტა და არც შეეძლო გადაეწყვიტა. საერთო კრების გადაწყვეტილების შემდეგ, ქართველთა და აფხაზთა შორის გაიმართა დიალოგიც, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა. გვითხრეს: „თქვენ ხართ სტუმრები და მასპინძლობას ნუ დაიჩემებთო".

20 თებერვალს პროტესტის ნიშნად მოვიწვიეთ ქერექენის ზონის ქართველი მოსახლეობის საერთო კრება. კრებას ესწრებოდა 341 კოლმეურნიდან 328. კრებამ დაგმო 1990 წლის 30 იანვრის საერთო კრების გადაწყვეტილება და მიიღო დადგენილება ქართველი მოსახლეობის მონაწილეობით ახალი კოლმეურნეობის ჩამოყალიბების შესახებ. კოლმეურნეობას ვუწოდეთ „მეგობრობა".

კრებამ მიიღო კოლმეურნეობის წესდება შექმნა გამგეობა. კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარვუდგინეთ საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს მთავარ სამმართველოს — სერგო რუხაძეს, რომელმაც განიხილა ახლად შექმნილი კოლმეურნეობის წესდება. მათ ეს წესდება ცნეს კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების შესაბამისად, აღნიშნეს, რომ ის უპასუხებს წაყენებულ მოთხოვნებს და გადაუგზავნეს რაიონულ საბჭოს აღმასკომს, რომელმაც ახალი კოლმეურნეობა რეგისტრაციაში გაატარა 26 მარტს. ანგარიშის გახსნა და ბეჭდის გაცემა კი გაჭიანურდა.

ყოველივე ამან აფხაზი მოსახლეობის ერთი ნაწილის, უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. 6 აპრილს კუტოლის კოლმეურნეობის გამგეობამ და აფხაზეთის აგროსამრეწველო კომიტეტმა ნაცვლად ძველი კოლმეურნეობის აღდგენისა, გამოყოფის პროექტი შემოგვთავაზა, რომელსაც იძულებული ვიყავით დავთანხმებოდით. ამ პროექტს რაიაღმასკომის თავმჯდომარის რეზოლუცია და ბეჭედი აქვს და ითვალისწინებს ცალკე ქერექენის ზონის მოსახლეობის თავისი საზღვრებით გამოყოფას, 11 აპრილს დანიშნული იყო ამ პროექტის დამტკიცება და ახალი კოლმეურნეობის შექმნა, მაგრამ საქმეში ჩაერივნენ „აიდგილარა", აფხაზეთის ტელევიზია და გაზეთ „ბზიფის" რედაქცია. გამგეობამ და აგროსამრეწველო კომიტეტმა კი დაპირებას უღალატეს. ამდენი დაპირებების შეუსრულებლობით იძულებული შევიქენით მიგვემართა უკიდურესი აქციისათვის — გამოვაცხადეთ უვადო შიმშილობა!

**11 აპრილს 22 საათიდან შიმშილობს 12 კოლწევრი. მოსახლეობასთან ერთად გაფიცულია საშუალო სკოლა.**

მშრომელთა ერთსულოვანი მოთხოვნაა — ქერექენის კოლმეურნეობის აღდგენა კუტოლელებთან კი კეთილმეზობლური ურთიერთობა გაგრძელდება, როგორც იტყვიან: ძმებიც იყოფიან — ჩვენს თავს, ჩვენს კოლმეურნეობას, ჩვენ უკეთ მოვუვლით.

გთხოვთ თანადგომას. იმედია ჩვენს სატკივარს გულთან მიიტანს ყველა, ვისაც ეს ეხება, რომ არ გადაიზარდოს ეროვნულ კონფლიქტში, რომლის საშიშროებაც არსებობს.

**რინელი აკობია,**
საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარე,

**არველოდი შონია,**
სოფელ კუტოლის ქართული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზურაბ რცხილაძე

# ნატვრა

მოთხრობა

*ეს ამბავი მართლა მოხდა,*
*მე მხოლოდ ჩავიწერე.*

ნოშრევან ციხისთავი კვდებოდა.

ჯანმრთელი კაცი რამდენიმე თვეში დადნა, დაილია, ლოგინად ჩავარდა და ეტყობა, სულ მალე კიდეც გაქრებოდა.

ექიმებმა მწოლთარეც აწვალეს, თვითონაც იწვალეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და როცა ბოლოში მოხდით მკურნალობაზე ხელი აიღეს, შვილებს გულში შეპარული ეჭვი საბოლოოდ გაუმტკიცდათ: მამა ავადმყოფობას კი არა, ცხრა აპრილის დარდს ეწირებოდა.

იმ სისხლიანი ღამის შემდეგ ნოშრევანი ერთი პირობა კიდეც გაყოჩაღდა, ჩვეულ სიფრთხილეზე უარი თქვა, სიბერე გადაივიწყა და ვის არ მიადგა, ესე და ესე, ჯარმა ქალი და ბავშვი სადაც დაგვიხოცა, სწორედ იქ გახლდით, ჩემი თვალით ვნახეო, უამბობდა და ყველანი გულით რომ უსმენდნენ უკვირდა, რადგან დღემდე არ ეგონა რომელიმე სამთავრობო კარ-შესასვლელი ქართველი კაცის დარდისათვის ოდესმე თუ გაიღებოდა. მადლობა ღმერთს, თავდაყირა ქვეყანა ფეხზე დამდგარა, კარშიც სხვა ხალხი გამოსულა, გაიხედავ — მოედანი დუღს, შფოთავს ქუჩა, ტირის უბანი. ნაცნობი რას მიქვია, უცნობიც ახლობელს ჩამოჰგავს, მიდი, გულიც მოიხე და კიდეც გაიგე ამდენი ხნის მუნჯად ყოფნას დარდი როგორ მოუმრავლებია.

ეტყობა გამოიცვალა ქვეყანა.

ეტყობა აივსო ფიალა.

დიდ-პატარამ ენა ამოიდგაო, თავდაპირველად ამ დოლში ნოშრევანიც შევარდა, მაგრამ როცა საკავშირო ტელევიზიამ შავი თეთრად გაასაღა, რა შუაშია ჯარი, ქართველებმა ერთმანეთი თვითონ დახოცესო, ხოლო უდიდეს სათათბიროში ჯალათ გენერალს სიხარულის ტაშით შეეგებნენ, მოხუცი გულს შეასკდა, სახსრებში მოირღვა და ლოგინად ჩავარდა. იწვა გარინდებული და ერთ წერტილს საათობით უცქეროდა. ფიქრ-ვარამის დრო მიეცა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მთელი სიცოცხლე თავისივე შეთხზული სიცრუით იარა: მოვითმინოთ, ნუ ავჩქარდებით, თავს წავაგებთ, ცოტანი ვართ, დავილუპებით. სულიცა და ხორციც ამ შიშით დაიბეჩავა, გაადიდა და ეხლა ამ უეცარ ამოდუღებას, ვისი ბრალია, თუ ველარ უძლებდა.

რაკი ექიმებმა მკურნალობაზე ხელი აიღეს ალარაფერი ემველება, ორი დღის სიცოცხლე დარჩენიაო, ოთხივე ვაჟიშვილმა ერთხმად გადაწყვიტა წამლითა და ჩხვლეტით აღარ ეწვალებინათ, რაღაცეებით ესიამოვნებინათ და იმ ქვეყნად ასე გაესტუმრებინათ.

გაიხსენეს რა უყვარდა.

— ახაშენი... ჰქით თუ ვერ შეძლებს იქნებ კოვზით შევასვათ...

— ძველი ქართული სიმღერები და გერმანული საორღანო მუსიკა ჩავურთოთ ხმადაბლა...

— ქაქუცა ჩოლოყაშვილის სურათი სასთუმალთან გამოვუფინოთ.

— გუდის ყველი ესიამოვნება, ნავთლუღის ბაზარში გამოაქვთ ხანდახან.

— ილიას მკვლელი საბოლოოდ დავადგინეთ და საფლავიდან ამოვაგდებთ...

— იორამი და დუდანა შერიგდნენ...

— თბილისის „დინამო" საქართველოს ეროვნულ პირველობას გაითამაშებს...

— გორელები გამოფხიზლებულან და იმ უხსენებლის ძეგლი მიუნგრევიათ...

— ლეო და დინარა ქართულ სკოლაში გადმოვიყვანეთ...

— ოპერის თეატრში დოლიძის ქეთო და კოტე აღუდგენიათ...

— ბათურას და ნინოს ტყუპები შესძენიათ, ოთხ-ოთხი კილო, ჯანმრთელები, ბოკვრები...

არაფერი გამოგვრჩესო, ჩამოსწერეს და შესრულებას, დრო აღარ ითმენდა, უმალ შეუდგნენ. სასთუმალთან მორიგეობა დააწესეს, ხან მოჩვენებით იმხიარულეს, ხან გულწრფელად დანაღვლიანდნენ, კარგა ხნის გარდაცვლილი ცოლის სურათიც გამოუტანეს, მაგრამ მოხუცს ვერაფერი გააგებინეს, ეტყობა მომაკვდავს შეცნობის კარი უკვე დახშული ჰქონდა და ამ ქვეყნის აღარაფერი ეყურებოდა.

ხერხმა ვერ გასჭრა.

დასხდნენ და მოიწყინეს.

მერე უმცროსი წამოდგა, ძმებს გაუღიმა, ერთიც ვცადოთო, მწოლიარეს მიუახლოვდა, დაიხარა და ყურში ჩასძახა.

— მამა, საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, დღეიდან საქართველო თავისუფალია.

მოხუცი არ განძრეულა, სული არ გაუმჟღავნებია. რა უბედური უნდა იყო, რომ მთელი სიცოცხლე ნატვრაში გაატარო და სიკვდილის წინ ამ ნანატრის გაიგონებაც ვერ შესძლო.

— მამა, საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, საქართველო თავისუფალია.

ხმაში ჩაისახა ორასი წლის ბოლმა, სიხარული, მუდარა ლოცვა, სასოწარკვეთა...

ჯერ ერთი ძმა აჰყვა, მერე მეორე, შემდეგ ერთხმად აიტაცეს.

ამ ტყუილში იმდენი შარბათი აღმოჩნდა, რომ თვითონვე გაბრუვდნენ და მამა სულაც გადაავიწყდათ. ვერ შეამჩნიეს როგორ მოსცილდნენ საწოლს, როგორ გაჩნდნენ მაგიდასთან, ღვინო როგორ ჩამოასხეს და კიდევ ერთხელ ჰქერი როგორ ასწიეს თავისუფალ საქართველოს გაუმარჯოსო! სულმოუთქმელად დაცალეს და ჭიქები მაგიდაზე ხმაურით ჩამოდგეს.

კიდე ცოტა ხანს იყვნენ „მაღლა", მერე „დაეშვნენ"; საწოლს გახედეს და სახტად დარჩნენ: მამა ოდნავ გახელილი ცალი თვალით იყურებოდა.

არიქა, თითოც სწრაფად ჩამოასხეს და ერთხელაც იქუხეს — თავისუფალ საქართველოს გაუმარჯოს!

— მამა, აბა, ალავერდი შენთან — ხელი ბალიშქვეშ შეუცურეს, თავი წამოუწიეს და სადღეგრძელო სუფრის კოვზით შეასვეს.

იღბალი ჰქონია ნოშრევან ციხისთავს, სიკვდილის წინ მაინც გაიხარა და საიქიოში, მადლობა ღმერთს, ისე მიდიოდა, როგორც თავისუფალი ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქე.

მაგრამ ცაში ნაწერი კაცის ბედი შეუცდომლად ვინ ამოიკითხა? რამდენიმე დღეში მოხუცი მოფერილიავდა. რაღაც ზეგარდმო ძალამ კარს მომდგარი სიკვდილი ფეხაკრეფით გააპარა, მერე მომაკვდავს სული ჩაუდგა და იქით წასული აქეთ მოაბრუნა.

გაწბილდნენ სქელტანიან გამოცემებში მოკალათებული ათასწლოვანი მკურნალობა-შეგონებანი, სიკვდილის დამთრგუნველი ძალა აქვე, მკლავის ერთ გაშლაზე ყოფილა.

მოხუცმა ჯერ გაუგებარი ჩურჩულით დაიწყო, თანდათან ენა ამოიდგა და ბოლოს იმდენიც მოახერხა, გაზეთი წამიკითხეთო.

რა ექნათ?

რომელი უნდა წაეკითხათ, რომ ეს სიცოცხლის მომნიჭებელი სიცრუე არ გამომჟღავნებულიყო.

გავიდნენ და ითათბირეს, დაბრუნდნენ და მოახსენეს: თურმე გაზეთების ბეჭდვა შეფერხდა, მტერი განა ცოტაა, ვიღაცას დაზგები მოუშლია, აღარც ქაღალდია, ამბობენ ერთ კვირაში ყველაფერი მოგვარდებაო, ტელევიზორის ეკრანი გადაგვეწვა, ვიშოვით გამოვცვლით, რადიოს ხაზი გაწყდარა. ეს კი უეჭველად მეზობელი ბიჭბუჭობის ბრალია, ისე კი, რაში გჭირდება, არ ვიცით, გაზეთიც ჩვენა ვართ და რადიოც, თუ გინდა ყველაფერს წვრილად გაიმბობთო და უამბეს: საქართველოში ზეიმია, დიდი ზეიმი, სამოცდაათი წლის მანძილზე პირველად მოვაწყობთ თავისუფალ არჩევნებს, გლეხს მიწა დაუბრუნეს, ჩვენი ნაოფლარი ჩვენვე გვრჩება, აღარავინ გვაგინებს, აღარავინ გვძარცვავს და მთავრობაც, ვინ იფიქრებდა, ქართულად გველაპარაკება. თქვი, მეტი რა გინდა?!

მეტი რა უნდა ნოშრევან ციხისთავს?

ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი, ბევრიც ვეწამეთ, სისხლიც ვღვარეთ, მონობაც გამოვიარეთ, გვჩეხეს, დაგვწამლეს, მაგრამ ბოლო მაინც კეთილი ყოფილა.

გადაწყდა: რაკი მამას აღარაფერი უჭირს, შვილები, უმცროსის გარდა, ახალ წელს საკუთარ ოჯახებში შეხვდებიან, ნაშუაღამევს მამას ამოაკითხავენ და აქ გააგრძელებენ სუფრას. ქეიფი და სიმღერა ციხისთავებზე მოგონილია და ერთს ციხისთავურად კიდევ მოილხენენ.

და თუმცა ძველმა წელმა სისხლცრემლიანი კვალი დატოვა, ახალი მაინც, ცხოვრება თავისას მოითხოვს, თოფის გრიალით შემოვიდა. მერე უბანი მიწყნარდა და სადღაც შორეული ტელემრავალყამიერილა ისმოდა.

მამაშვილის ძალთა უთანასწორობის გამო ერთ ჭიქაზე მეტი არ აწეულა, საახალწლო სადღეგრძელო საუბარმა შეცვალა, ჟამი დაამოკლა და ერთი საათი შეუმჩნევლად გაასრიალა.

მოულოდნელად ქუჩიდან საბჭოთა კავშირის ჰიმნის ხმამ შემოაღწია. მოხუცი უმალ გამოიცვალა, სახეზე აილეწა, აკანკალდა, წამოწევას ეცადა, ვერ შესძლო, ახრიალდა...

„ვინ მოაშავა ეს ჭირი?" — უმცროსი ციხისთავი წამოხტა, ოთახიდან სწრაფად გავარდა, დერეფანი გაირბინა, კიბეზე ჩაფრინდა და ქუჩაში აღმოჩნდა.

ჰიმნის ხმა გაღმა ორსართულიანი სახლიდან მოდიოდა, მაგრამ რომელი ფანჯრიდან, ვერ გამოიცნობდი.

რა ქნას, ვისი კარი შეაღოს, ვის გამოეცხადოს დაუპატიჟებელ მეკვლედ, ან როგორ აუხსნას ამ ახალ წელს შენგან რაღაც იხრობა ისმის და თუ ძმა ხარ, ხმა ჩააწყვეტინეო. აპასობაში ჰიმნიც ჩათავდება და ეგ არის...

დაიბნა.

ცოტა ხანს ასე გაუნძრევლად იდგა, თანდათან ბედს შეურიგდა, ჰიმნი ბოლომდე მოისმინა და სიცრუეში მხილებული, შერცხვენილი ბავშვივით შინ შებრუნდა.

საწოლიდან უსიცოცხლოდ გადმოკიდებული ხელი შესვლისთანავე ავად ენიშნა, სწრაფად მიეჭრა, გულწასული ვერ მოასულიერა, კეფიჭა ვერ გაუხსნა, წყალი ვერ დაალევინა.

...სასწრაფო სწრაფად მოვიდა, მაგრამ ექიმმა თქვა, სამწუხაროდ დაგვიგვიანეთო, ჭირისუფალს პირველად თვითონ მიუსამძიმრა და გარდაცვალების ფურცლის შევსებას შეუდგა.

ცოტა ხანში შვილებიც გამოჩნდნენ, ძმის ნაამბობს ეჭვის თვალით შეხედეს, პირველი ელდა გადაიტანეს, მერე დასხდნენ და დაკრძალვის საქმე გაინაწილეს.

მადლობა ღმერთს ოთხნი იყვნენ.




# შიდსი: საშიშროება მატულობს

**ასოციაცია „კათარზისთან" შეიქმნა საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ნებაყოფლობითი საზოგადოება**

ფართო საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, რომ შიდსის ეპიდემია 1981 წელს დაიწყო. საერთო აღიარებით, შიდსი აშიშვლებს კაცობრიობის ზნეობრივ მანკიერებებს (სექსუალური ალვირახსნილობა, ნარკომანია). წარმოაჩენს ადამიანთა სოციალურ მოუწყობლობას. შეიძლება ითქვას, რომ ეპიდემია მხოლოდ ახლა იკრებს ძალას, ჯერ იგი განვითარების ადრეულ სტადიაზეა, უახლოეს ხანებში კი კაცობრიობის მომავალს უპრეცედენტო, ჯერ არნახულ საშიშროებას შეუქმნის. **„იქნება მაშინ დიდი ჭირი, რომლის მსგავსი არ ყოფილა ქვეყნის დასაბამიდან დღიმდე და არც იქნება"** (მათე 24,21).

ამჟამად მსოფლიოში რეგისტრირებულია დაავადების 250 ათასი შემთხვევა, ინფიცირებულია 5-დან 10 მილიონამდე ადამიანი. პროგნოზების მიხედვით, უახლოეს ხუთ წელიწადში დასნეულდება მინიმუმ კიდევ ერთი მილიონი კაცი. თავზარდამცემია შიდსის გავრცელების ტემპები. ავადმყოფობის გამოჩენიდან რამდენიმე წელიწადი გავიდა და იგი უკვე შეეხო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, ყველა სოციალურ ინსტიტუტს: ოჯახს, სკოლას, სამხედრო ფორმირებებს, მთავრობას ... ვარაუდობენ, რომ ორი ათასი წლისათვის საბჭოთა კავშირში მინიმუმ 55 ათასი ვირუსმატარებელი იქნება. კაცობრიობა დადგა არნახულად რთულ პრობლემათა წინაშე, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ საერთო ძალისხმევით.

„მე-20 საუკუნის შავი ჭირის" აფეთქება ადამიანის ცხოვრების წესის შეცვლამ — მორალურმა დეგრადაციამ და ე.წ. სექსუალურმა რევოლუციამ განაპირობა. სულ რაღაც ათი წლის წინ კაცობრიობა დარწმუნებული იყო, რომ ინფექციური დაავადებანი სერიოზულ საშიშროებას აღარ უქმნიდნენ ცივილიზაციას. ადამიანი მოიცვა ამპარტავნობისა და მრუშობის ცოდვამ და შედეგმაც არ დააყოვნა. ავადმყოფობა ფატალურია. ეფექტური სამკურნალო-საწამლო საშუალებები ჯერჯერობით არ ჩანს და არც უახლოეს მომავალში უნდა ველოდეთ.

ჩვენს საზოგადოებრიობაში შიდსი რატომღაც ასოცირდება მხოლოდ ჰომოსექსუალიზმთან და ნარკომანიასთან, ეს მაშინ, როცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ დაავადება შემაშფოთებელი სისწრაფით ვრცელდება ჩვეულებრივი სექსუალური კავშირების დროსაც. ამას ემატება დაავადების შემთხვევები გამოწვეული სამედიცინო პერსონალის არაკეთილსინდისიერებითა და ერთჯერადი სამედიცინო ინსტრუმენტების უკმარობით, რაც ასე მძაფრად იგრძნობა ჩვენთან. ამრიგად, მოსახლეობის არც ერთი ჯგუფი არ არის დაზღვეული დასნეულებისაგან.

შიდსის ვირუსი დაბრკოლების გარეშე მოგზაურობს მსოფლიოში მისთვის არ არსებობს საზღვრები, ეროვნული კუთვნილება თუ სოციალური წარმოშობა. ჩვენი სამშობლო არ არის იზოლირებული გარესამყაროსაგან. შიდსის ვირუსით გამოწვეული სიკვდილის პირველივე შემთხვევამ საქართველოში თვალნათლივ დაადასტურა საშიშროების წინაშე ჩვენი ფსიქოლოგიური მოუმზადებლობაც და გულარხეინობის უსაფუძვლობაც.

უმკაცრესი კრიზისის პირობებში, როცა სამთავრობო ორგანიზაციებსა და მთლიანად სახელმწიფოს არ ძალუძთ შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის სათანადო დონეზე წარმართვა, საზოგადოებრიობის ვალია შეძლებისდაგვარად თავისი წვლილი შეიტანოს საქმეში, რომელიც კაცობრიობის №1 პრობლემის ხასიათს იღებს. იმ პირობებში, როცა მთელი კაცობრიობა დგას ფიზიკური განადგურების საშიშროების წინაშე, მცირერიცხოვან ერებს უკიდურესი მობილიზება გვმართებს.

აი, ამ გარემოებებმა განაპირობეს ჩვენი საზოგადოების ჩამოყალიბება.

პანიკა ცუდ სამსახურს გაგვიწევს. ხსნა ზნეობრივ განწმენდაშია. საბედნიეროდ დადგენილია შიდსის გადაცემის გზები: სქესობრივი კავშირი, ვირუსის გადაცემა დედიდან შვილზე მუცლადყოფნის დროს, სამედიცინო მანიპულაციები. თითოეულ ადამიანს შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს დასნეულების რისკი, რის მისაღწევადაც დიდი საინფორმაციო მუშაობა გვმართებს. ტაბუდადებული თემები აღარ უნდა არსებობდნენ, შიდსზე უნდა ვილაპარაკოთ გულახდილად.

ორი ათასი წლისათვის, პროგნოზების მიხედვით, შიდსით რამოდენიმე ასეული ათასი ადამიანი დაიღუპება. ვეცადოთ, რომ საქართველომ რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლი გაიღოს. ჩვენ ისედაც ცოტანი ვართ.

**ასოციაცია „კათარზისი"**
**საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ნებაყოფლობითი საზოგადოების გამგეობა.**

**გთხოვთ, სტატიის ჰონორარი გადარიცხოთ ასოციაციის ანგარიშზე: № 000700482. ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის ბინსოცბანკი.**

**რედაქციისაგან:** ვითვალისწინებთ რა პრობლემის დიდ მნიშვნელობას, „ახალგაზრდა ივერიელი" მზადაა სისტემატურად მიაწოდოს მკითხველს ინფორმაციები საზოგადოების კონკრეტული საქმიანობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტუმრად „მადამ ეიფელთან“

**ჟურნალისტთა ცხოვრებაში მოგზაურობა ისეთივე აუცილებელი ატრიბუტია, როგორც თევზისათვის წყალი. და განსაკუთრებით მოხარული იქნება ყველა მათგანი (და ალბათ, არა მარტო ჟურნალისტები) ევროპისა და მსოფლიოს სიმბოლურ დედაქალაქს — პარიზს თუ ესტუმრება ოდესმე. ცხადია, ამ სტრიქონების წამკითხველს საკმაო ინფორმაცია აქვს მსოფლიოს ამ ულამაზეს ქალაქზე, მაგრამ, მე მაინც ვეცდები და ჩემს პირად შთაბეჭდილებებს შემოგთავაზებთ.**

**მოთმინებისათვის წინასწარ გიხდით მადლობას და გავბედავ მოპატიჟებას „მადამ ეიფელის“ — საბინადროში!**



როდესაც თვითმფრინავით ვმგზავრობ, ვიდრე საჰაერო ლაინერის ბორბლები მიწას მოსწყდება და რკინის ეს უზარმაზარი ფრინველი ცისკენ აიღებს გეზს, აუცილებლად სამჯერ უნდა გადავიწერო პირჯვარი. შიშის გამო კი არა, უფრო იმიტომ, რომ უახლოეს ხანში აღმოვჩნდები მეტად ახლოს უფალთან და გაცილებით შორს ცოდვილი დედამიწისაგან.

მოსკოვის „შერემეტიევოს“ აეროდრომიდან პარიზის მიმართულებით აფრენილი თვითმფრინავით უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა კურთხევა და მისივე ხელით გამოცემული პარიზის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიისათვის საჩუქრად ბიბლიის ქართული გამოცემა მიმყვებოდა; წიგნი, ღვთის სულის მშვენებითა და ქართული სიტყვის ჩუქურთმით გაჯერებული.

— ღმერთო ძლიერო!.. — ჩავილაპარაკე სავარძელს მიჯაჭვულმა და ამჯერადაც სამჯერ გადავისახე პირჯვარი.

ღრუბლების ბორცვებიან მინდორზე „მიჯირითობს“ ტუ-154 და სუფთა ქათქათა ზეცის შემყურეს, მაინც მიწიერი ფიქრებისკენ მიმიწევს გონება და ათასი კითხვა მოძვრება თავისთავად — როგორ შემხვდება პარიზი? რას?... როდის?... და...

თვითმფრინავის მომხიბვლელმა და, რატომღაც, ამერიკული ღიმილით პირზე აკერებულმა რუსმა გამცილებელმა, ფიქრებიდან გამომიყვანა — ღვინო შემთავაზა. არც მე გავაწბილე და ჰაერში, საქართველოდან შორს, საფრანგეთისაკენ მიმავალს, ყველა ქართველის დალოცვა მომინდა — მათი, ვინც თბილისში დავტოვე და მათი, ვინც პარიზში მელოდა. ღვთის მადლით, ჭიქის მომჭახუნებელიც თავის ცოლშვილთან ერთად ჩემს უკანა სკამზე აღმოჩნდა. ნახევრად ფრანგმა, ნახევრად იტალიელმა მორისმა ეტყობა ღვინის დამფასებელი აღმოაჩინა ჩემში და გვერდით, ცარიელ სავარძელში მოკალათდა ჭიქით ხელში.

— ღვინის მეტს არაფერს ვსვამ, განსაკუთრებით კი ქართული ღვინო მიყვარს — მითხრა მან, თავის 5 თვის ბიჭისკენ მიმითითა ჭიქით და — მისი თამადობით დედამიწის ზურგზე ყველა პატარას გაუმარჯოსო!

— გაუმარჯოს-მეთქი! და რადგან ასეთი მოსუფრალი მარგუნა ღმერთმა, ბორტგამცილებელს (თუ ღვინოების მომტანს) თითო ჭიქის ჩამოსხმაც ვთხოვე.

—და გაუმარჯოს ყოველი დღის იმ ნათელ დილას სამშობლოს სიყვარულით გულში მზეს რომ დაგინთებს!..

ნეტავ ასე ხმამაღლა არ მეთქვა — ეტყობა იტალიურმა, სამხრეთულმა ტემპერამენტმა გადაძალა და — ბოთლით!.. — იქუხა...

ეზო-კარს როგორი ჭიშკარიც ჰქონია იმგვარი ოჯახიც ცხოვრობს მის შიგნით — უთქვამთ. საფრანგეთს, „შარლ დე გოლის“ აეროპორტის სახით, ისეთი 21 საუკუნის სადარი „ჭიკარი“ აქვს, რომ ასჯერ გაგონილსა და ნანახს დაგავიწყებს. ხივრცეში, ერთი კედლიდან მეორისკენ ბეწვის ხიდივით გამოკიდებულ მოძრავ ბილიკებს, მინის დერეფნებით, თითქმის „მთელი მსოფლიო“ გადაჰყავთ აქეთ-იქით სამოგზაუროდ.

საუბედუროდ, საბჭოთა სინამდვილემ კიდევ ერთი სინდრომი დაგვიტოვა — მუნდირის შიშის სინდრომი. მოსკოვის „შერემეტიევოს“ საერთაშორისო აეროპორტში, სასაზღვრო ზონაში მოფუსფუსე ასობით მწვანე სამხრეებიან მებაჟეებს მიჩვეული თვალი, აქაც მსგავსს ეძებდა და კოხტა, ფრანგულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი („დისკრიმინირებული“) ზანგი ოფიცერი ქალის გარდა ვერავინ შეამჩნია. მან პატარა ფურცელი მომაწოდა, სადაც სულ სამი გრაფა იყო შესავსები.

— გვარი.

— სახელი.

— ეროვნება.

მართალია გრაფაში „GEORGIA“-ს რომ დახედა, ვერაფერი გაიგო, მაგრამ არც გამოძიება დაუწყია და არც ეჭვის თვალით მზერა. ქათქათა კბილები მომანათა, აიღო ბეჭედი და ჩემს პასპორტს ჩაურაკუნა. ეს იყო და ეს მთელი საბაჟო კონტროლი. როგორ არ ვეცადე შემდეგ მენახა ადგილი, სადაც პირქუში მებაჟეები გულდაგულ ჩხრეკდნენ ვინმეს, არაფერი გამომივიდა. ამ ძებნაში კედელს მივადექი, რომელიც თურმე კარები აღმოჩნდა. ჩემს დანახვაზე ფართოდ გაიღო და დამხვდურებს, ჩემს მასპინძელს მიხეილ ჭავჭავაძეს და ნანა კაშიას, და მარად მომხიბლავ პარიზს, ერთდროულად ჩავეხუტე.

●

ბატონმა ვიქტორ ხომერიკმა, ჩემმა უშუალო მასპინძელმა (მიხეილ ჭავჭავაძის ბაბუამ), ვისაც კი მიაწვდინა ხმა პარიზში, ყვე-



ლას შეატყობინა უწმინდესის მიერ გამოტანებული ბიბლიის შესახებ.

კვირას, 11 თებერვალს მე და ბატონი ვიქტორი ერთად გავემგზავრეთ ეკლესიისაკენ. ბიბლიით ხელში, სულგანაბული ვდგავარ ხახულის ხატის გაჩახჩახებული, უზარმაზარი სლაიდის წინაშე და არ მჯერა თუ ეს



პარიზში ხდება — წმინდა ნინოს ქართულ ეკლესიაში. სადღაცაა ბერძენი მღვდელი წირვას დაასრულებს და არც ისე მრავალრიცხოვანი მრევლი ზიარებას მიიღებს მისგან. ბერძენი მღვდელი მამა მეთოდიუსი მას შემდეგ წირავს აქ, რაც ამ ორი წლის წინ უკანასკნელად ჩაატარა თავისი საღვთო სამსახური ეკლესიის წინამძღვარმა ილია მელიამ. ამჟამად იგი ლევილის სასაფლაოზე განისვენებს.

წირვაც დასრულდა. მღვდელმაც იქადაგა. ბატონმა ვიქტორმა ეკლესიაში შეკრებილთ წარუდგინა ჩემი თავი. გამბედაობა მოვიკრიბე და ეკლესიის ცენტრისაკენ დავიძარი. დახმარება, იმ დროს საფრანგეთში მყოფ ჩვენს თანამემამულეს მხატვარ გია ბუღაძეს ვთხოვე (რომელმაც ეკლესიას თავისი დიდი ტილო აჩუქა სახსოვრად), ისტორიული მომენტის აღბეჭდვა ფირზე კი თავის [illegible]

ჩვენმა თანამემამულემ — მხატვარმა გიმერი დარჩიამ.

წინასწარ მომზადებული ტექსტი გადავშალე და...

„ქალბატონებო! და ბატონებო!
ძვირფასო მამულიშვილნო!

ღვთით კურთხეულნო!

მე წილად მხვდა ბედნიერება, თქვენთვის, პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიისათვის და მისი მრევლისათვის ჩამომეტანა თბილისიდან ბიბლიის ქართული გამოცემა, რომელიც გამომგზავრების წინ აკურთხა და დალოცა; უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია II-მ. ამ წმინდა საჩუქარს რუდუნებით ვუვლიდი და ვიდრე თქვენ არ გეახლებოდით აქ, პარიზში, ხელიდან არ გამიშვია, რამეთუ დარწმუნებული ვარ, რომ იგი ღვთის მადლითა და ლოცვით, რწმენის იმ უდიდესი ხიდის ნაწილია, რომელიც აქ მცხოვრებ მამულიშვილთ სამშობლოსთან გაკავშირებთ. უწმინდესმა და უნეტარესმა ასევე გამომატანა სიონის საკათედრალო ტაძრის წმინდა სანთლები, რომლის ნაწილს აქვე გადმოგცემთ, ხოლო მისივე თხოვნით ნაწილს ლევილის ქართველთა საძმო სასაფლაოზე დავანთებ სახელოვან მამულიშვილთა სულების მოსახსენებლად.

პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიისათვის, ასევე უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, თან მაქვს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის 1990 წლის კალენდარი და ლოცვები, რომელსაც ასევე დიდი სიამოვნებით გადმოგცემთ“.

და ამის შემდეგ ბიბლია გავუწოდე ეკლესის წინამძღვარს. საპასუხო სიტყვაში მან დიდი პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით მოიხსენია უწმინდესისა და უნეტარესის ასეთი დიდი დაფასება პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიის და მრევლისადმი.

სიონიდან ჩამოტანილი წმინდა სანთლების შუქით გაჩახჩახებულ პარიზის წმინდა ნინოს ქართულ ეკლესიაში, მომდევნო წირვაზე, ქართული ასოთ-ჩუქურთმით გაწყობილი ბიბლიაც გადაიშალა.

●

თითქმის ორი საუკუნე (1163-1345 წწ) აშენებდნენ ფრანგები თავიანთ საკათედრალო ტაძარს და ბოლოს ისეთი ააგეს, რომ ყოველი ახალი საუკუნის მკვიდრთ აოცვიფრებს თავისი სიდიადითა და სილამაზით. ჩვენს მეხსიერებაში კიდევ ცოცხლობს ალბათ ვიქტორ ჰიუგოს ნაწარმოების გმირები— ბუნებისაგან დაჩაგრული ტაძრის მცველი კვაზიმოდო და ტურფა ასული ესმერალდა. მართალია, ვერც ერთ მათგანს დღეს ვერ იხილავთ ტაძრის კედლებში, მაგრამ „ნოტრ-დამის“ შემხედვარე ადამიანს, რაგინდ პარიზის თანამედროვე ცხოვრების ორომტრიალში არ უნდა იყოს ჩაფლული, გონებით წარსულისკენ მიგახედებს, ტაძრის კარებს გაგიღებს და სიმშვიდისა და სიდიადის სასუფეველში გაგიძღვება.

ყოველ დღე ღიაა ტაძრის კარი. ვის არ შეხვდები აქ—ფრანგს თუ ინგლისელს, ჩინელს თუ ამერიკელს, იაპონელს თუ არგენტინელს... კათოლიკების წირვა—მესსა—კვირაობით, საღამოს იმართება. ამ დროს ტაძარში ტევა არ არის. მე და ბატონმა ნიკო ჭავჭავაძემ, ჩემმა ერთ-ერთმა მასპინძელმა, მაინც მოვახერხეთ გადაჭედილ დარბაზში წინა რიგებისაკენ გაღწევა და ორი თავისუფალი სკამიც ძლივს აღმოვაჩინეთ. სადღაც ზევით და სივრცეში ორღანის ჰარმონია მრევლს მესისთვის ამზადებდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ორღანი, ტაძარში, არა მხოლოდ კლასიკურ საეკლესიო პიესებს უკრავს, არამედ თანამედროვე ავტორთა ნაწარმოებებსაც და ყველა შემსრულებლისათვის „ნოტრ-დამის“ ორღანთან დაჯდომა უდიდესი პატივია. ავტორთათვის კი საყოველთაო აღიარება. იმ დღესაც, 25 თებერვალს, კვირას საღამოს „ნოტრ-დამის“ ტაძრის ჭერქვეშ პირველად აჟღერდა ახალგაზრდა კომპოზიტორის პიერ ალან პონსარის ორი ნაწარმოები ბიბლიის თემაზე. ერთი,—„ჩიტების საუბარი“ გახლდათ, ხოლო მეორეს „ქარი“ დაარქვა ავტორმა. ყურთასმენა მართლაც შესანიშნავმა პიესებმა მოხიბლა. ბოლო აკორდიც აჟღერდა და ხალხით გაჭედილმა ტაძარმა ტაშით დააჯილდოვა ავტორიცა და შემსრულებელიც.

ტაძრის მსახურებმა უკვე ყველა სანთელი დაანთეს. კიდევ ერთხელ შეამოწმეს მიკროფონები. ორმოცკაციანი მგალობელთა გუნდიც მოემზადა ნოტებით ხელში



და ზუსტად შვიდის ნახევარზე ტაძრის გვერდითა კარიდან, კარდინალთა ოთახებიდან, თეთრ ატლასიან სამოსელში გამოწყობილი მღვდელთ-მსახურთა პროცესია შემობრძანდა დარბაზში. პროცესიის შუაში, ხის დიდი ჯვრით ხელში თვით საფრანგეთის კარდინალი—ლიუსტიგერი მობრძანდებოდა. გუნდმა და ორღანმა კათოლიკური წესისამებრ მისასალმებელი გალობა უძღვნეს მესის დაწყებას. კარდინალი და მისი ამალა სატრაპეზოს მიუახლოვდა.

ღმერთი არ მიწყენს ალბათ, ცოტა რომ გადავუხვიო თემას და მცირე განმარტება გავაკეთო. ფრანგები, ისევე როგორც ინგლისელები და გერმანელები, ტრადიციების მოყვარული ხალხია და რაღაც სასწაული უნდა მოხდეს მათ ცხოვრებაში, ამ ტრადიციებს რომ უღალატონ. ფრანგები ცდილობენ ახალი, მოდერნიზებული არაფერი შეიტანონ თავიანთ სალოცავში, რადგან ფიქრობენ, რომ ამით, შეხაძლოა რაიმე ზიანი მიაყენონ მაცხოვრის სულს. წარმოიდგინეთ, რომ მოხდა სასწაული და ფრანგების საკათედრალო ტაძარში „ნოტრ-დამში“, სიახლე გაჩნდა — იქ, სადაც კარდინალი ქადაგებს, დარბაზისაგან ოდნავ შემაღლებულ ადგილზე თანამედროვე, მაგრამ ტაძრისათვის შესატყვისი ოთხკუთხედი ფორმის ბარელიეფებით გარშემორტყმული მა-



სიური ქვის მაგიდა დგას. და ამ ქმნილების ავტორი ქართველი გახლავთ — გუჯი ამაშუკელი. ეს მართლაც უპრეცენდენტო შემთხვევაა საფრანგეთის კათოლიკური ეკლესიის არსებობის ისტორიაში.

კარდინალი ზუსტად იმ მაგიდასთან იდგა და მესას უძღვებოდა. სრულიად საფრანგეთის კათოლიკთა კარდინალი, ისევე, როგორც ყველა უწმინდესი და უნეტარესი, სიკეთესა და მაცხოვრის სიყვარულს უნერგავდა მრევლს. „მამაო ჩვენოც“ ყველამ ერთად გაიმეორა. შემდეგ კი, ხალხი ერთმანეთს მოუტრიალდა და ყველამ თავის მეზობლად მჯდომ ადამიანს ხელი ჩამოართვა, იმის ნიშნად, რომ ყველა ქრისტიანი ერთმანეთის მეგობარია და ერთმანეთისადმი სიყვარულით უნდა იყვნენ გამსჭვალული. მეც გავუწოდე გვერდით მსხდომ ფრანგებს ხელი, მათაც თბილად ჩამომართვეს და უცბად ვინატრე — ღმერთო, საქართველო, როცა იქნება თავისუფალი, ნეტავ მაშინაც ასე გამოგვიწოდოს ხელი ყველა ქრისტიანმა! — და სიმართლე გითხრათ, მათი შემხედვარე, იმედის ნაპერწკალიც გამიჩნდა — თავისუფალ ხალხს, თავისუფლებისათვის მებრძოლი ხომ ყოველთვის უყვარს!

**თამაზ სულაძე,**
თბილისი-პარიზი-თბილისი.

●

**სურათებზე:** მამა მეთოდიუსს გადავცემ ბიბლიას; „ნოტრ-დამი“ ღამით (ქვემოთ, მარცხნივ); მონმარტის ეკლესია, პარიზის ერთ-ერთი მშვენება (ქვევით, მარჯვნივ); ვერსალის სასახლის ხედი ბაღის მხრიდან (ზევით, მარჯვნივ).

ავტორის ფოტოები.

(გაგრძელება იქნება).

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ,კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, სტამბულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 Наш индекс 66400.

უე 08371